გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

# სამტრედიის მაცნე

N5 (9328) | 20 თებერვალი. 2020 წელი | ფასი 50 თეთრი

**2** — 16 ათასი ლარით მიწაბოგირლები შარშან დაწყებულ სამუშაოს დაასრულებენ



**3** — საკურა მალე სამტრედიაშიც აყვავდება

## როგორ ნაწილდება ის, რაც არ დარჩენილა



**4**

მერის წინაშე პოზიორობას სჯობს მოგვმართონ კითხვებზე პასუხების გასაცემად!

*ჩაშლილოია, ახა, ამ თანხას ხალხში ვინ გაგაცანს?!*

**2** — 2020 წლიდან უძრავი ქონების რეგისტრაცია გამარტივდა



**7** — ვიკა მანჯგალაძე Education First -ის გამარჯვებულია

“ახალგაზრდობა, რომელიც მამების თაობას შემოქმედობას არ აპატიებს” _ სამტრედიის მერი მოსწავლეებს შეხვდა




**5** — სასტიკი მკვლელობა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დარბაზში

**6** — “თვითმფრინავის რეისი თუ გადაიდებოდა, შეიძლებოდა, დავინფიცირებულიყავით”



# 16 ათასი ლარით მიწაბოგირლები შარშან დაწყებულ სამუშაოს დაასრულებენ





**ქეთევან ჭელიძე**

სოფლის მხარდამჭერი პროგრამები აქტიურად განიხილება მთელს მუნიციპალიტეტში. ამჯერად მორიგი ლოკაცია მიწაბოგირა გახლდათ, სადაც მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია მივიდნენ. მსგავსად სხვა სოფლებისა აქაც გზის, განათების, სანიაღვრე არხების და ა. შ. საკითხების გადაჭრა აღელვებს მოსახლეობას. 16 ათასი ლარი, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებშია გამოყოფილი, მიწაბოგირლებს ყველა პრობლემას ვერ გადაუწყვიტავს. პირველ რიგში, როგორც ეს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა მელაურის თემში სოფიო კიკაჩეიშვილმა აღნიშნა, თანხა შარშან დაწყებული საქმის გაგრძელებას მოხმარდება. კონკრეტულად, ტაძრის ეზოს შემოღობვას, რომელიც სოფლის სურვილით შენდება. ვალერიანე ფოცხვერიამ მიწაბოგირლებს პრობლემების ეტაპობრივად გადაჭრის პირობა მისცა. საავტომობილო გზების მოწესრიგება მათთვისაც უპირველესი მოთხოვნაა. ავარიულია მიწაბოგირიდან ეწრის მიმართულებით არსებული საავტომობილო გზა, ასევე შესაკეთებელია მეორე და პირველი მიწაბოგირის შემაერთებელი გზის მონაკვეთი.

რუსუდან ერქვანიძე იმ ჩიხის გზის მოწესრიგება სთხოვა მუნიციპალიტეტის მერს, სადაც თვითონ ცხოვრობს და ცუდ ამინდში გავლა შეუძლებელია. სკოლაში მიმავალ შვილიშვილს ფეხი უსველდება და ავად ხდებაო. _ დასძინა. მაყვალა გოგია გარე განათების პრობლემამ შეაწუხა: ჩემს ჭიშკართან ექვსი თვეა შუქი აღარ ინთებაო. ელგუჯა ნიკურაძემ სოფლის პროგრამით, იქნებ, ტრენაჟორები შევიძინოთ და სოფელში ახალგაზრდები დავამაგროთო. ხედავთ, ცხოვრება წინ როგორ წავიდა, ტრენაჟორებს ვითხოვთ! _ ეს უკვე მუნიციპალიტეტის მერია.

მოსახლეობას სანიაღვრე არხებისა და ხიდ-ბოგირების მოწესრიგებასაც დაჰპირდა. ‘‘მოსახლეობის გვერდით დგომა გვჭირდება. ყველამ შეავსო ეზოში გამავალი არხები და თვითონ რომ აღარ ეტბორება ეზო, მეზობელს აღარ დაეძებს. სხვის საკუთრებას შევეხოთ, ჩვენ ამის უფლება არ გვაქს, თვითონ გაწმინდეთ არხები და ტექნიკას ჩვენ გამოგიყოფთო. როგორც სოფელში, ისე ქალაქშიც მოსახლეობა ავსებს არხებს და მერე ჩვენსკენ იშვერს ხელს, თქვენ გვიშველეთო. ქუჩაში, რომ არხს გაწმენდ, თუ შიდა, ერთმანეთში გარდამავალი არხები გაწმენდილი არ იქნა, პრობლემას ვერ მოვაგვარებთ’’. _ აღნიშნა მერმა.

ქუჩის მხრივ მოგვეხმარეთ და ეზოებს ჩვენს მივხედავთო. _ აღუთქვეს მიწაბოგირლებმაც. ყურადღება შესრულებული სამუშაოების ხარისხზეც გამახვილდა, რაც გაკეთდება, კარგად უნდა გაკეთდესო. მერმა ადგილობრივ მოსახლეობას აქტიურობისკენ მოუწოდა და კომისიაში ჩართვა შესთავაზა, შესრულებული სამუშაოების შესახებ თავიანთი აზრის დაფიქსირება რომ შეძლონ.

‘‘ბევრი პრობლემა აქვს ზოგადად სოფლებს’’. _ განაცხადა ჟურნალისტებთან მუნიციპალიტეტის მერმა, _ ‘‘რომელსაც ნელ-ნელა გადავჭრით. გზები რეგიონალური განვითარების პროგრამით კეთდება და ყველა სოფელი ასფალბეტონის გზით დაუკავშირდება ერთმანეთს. ტენდერი უკვე გამოცხადებულია, ზაფხულში როცა უპრიანია გზის მშენებლობა, ჭაგნის, ეწრის მიმართულებითაც დაიგება იგი. სანიაღვრე არხებსაც აუცილებლად მოვაწესრიგებთ, როგორც კი ამინდი ამის საშუალებას მოგვცემს. ჩვენ გვაქვს შესაბამისი ტექნიკა და კეთილმოწყობის სამსახურთან ერთად ამ სამუშაოებს შევასრულებთ. მოვაწესრიგებთ გარე განათებასაც. ხალხის მოთხოვნას ყველა სოფელში შევასრულებთ’’.

მიწაბოგირლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის მერი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის კატასტროფების მართვის წარმომადგენელ ირმა შველიძესთანე რთად გამოჩინებულში გაემგზავრა. როგორც ბატონ ვალერიანეს აცნობეს თოვლის შედეგად, წმიუნდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის მიმართულებით გზის გარკვეულ მონაკვეთზე პრობლემები შეიქმნა. შესაბამისი ტექნიკით მყისიერად მოხდა გზის გაწმენდა და მოძრაობის აღდგენა.



# 2020 წლიდან უძრავი ქონების რეგისტრაცია გამარტივდა

**ნათია ნაცვლიშვილი**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების ჩვენს მუნიციპალიტეტში სტუმრობის მიზანი, მიწის რეგისტრაციის რეფორმის და ამ დარგში განხორციელებული სხვა ცვლილებების გაცნობა გახლდათ. მერის და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების, ასევე, სხვა საჯარო მოხელეთა წინაშე პრეზენტაცია წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის სამსახურის იურისტმა, თამარ თაქთაქიშვილმა. მისი თქმით, 2020 წლის პირველი იანვრიდან გამარტივდა უძრავი ქონების რეგისტრაცია, მოსახლეობის მიმართვიანობა კი საჯარო რეესტრში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დავით ახალბედაშვილი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მენეჯერი:

‘‘კანონმდებლობაში ცვლილებების ძირითადი მიზანი უძრავი ქონების რეგისტრაციის გამარტივებაა, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეებს, მარტივად დაირეგისტრირონ უძრავი ქონება. 2016 წელს დაიწყო მიწის რეგისტრაციის გამარტივება, რაც კანონმდებლობაშიც აისახა, თუმცა, 2016 წლიდან 2020 წლამდე გამოიკვეთა გარკვეული სახის ხარვეზები, ამიტომ მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდა მათ აღმოსაფხვრელად. 770 000-ზე მეტი მიწის ნაკვეთია რეგისტრირებული საკუთრების უფლებით, მომართვიანობა გაზრდილია, მოქალაქეები მაინც აწყდებიან გარკვეულ ბარიერებს და ვერ ირეგისტრირებენ, 2020 წლიდან მათთვისაც გამარტივდება და გაიოლდება პროცესი და მოსახლეობა შეძლებს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას. დოკუმენტაციის მოძიება და რეგისტრაცია არის უფასო, ასევე, მინდა, მოსახლეობის ყურადღება გავამახვილო ერთ რამეზე: 2021 წლამდე მოქალაქეები თუ შეძლებენ საკუთრების უფლების რეგისტრაციას, ეს გავლენას არ მოახდენს მის სარეიტინგო ქულაზე, ხშირად ისინი თავს იკავებდნენ რეგისტრაციაზე იმის გამო, რომ მოეხსნებოდათ შემწეობა, ახლა კი ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს მათ სარეიტინგო ქულაზე.







# საკურა მალე სამტრედიაშიც აყვავდება

ნინო ნანიტაშვილი

იაპონიაში გაზაფხულის სიმბოლო, ულამაზესი ალუბლის ყვავილი, საკურა ქალაქის ცენტრალური პარკის მიმდებარედ და ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე სკვერში დაირგო.



იაპონიის ქალაქ მიტოიოს მერის მრჩეველი შირონაკა ტოშიფუმი საქართველოში უკვე მეორედ ჩამოვიდა. მისი მოგზაურობა წელსაც სამტრედიიდან დაიწყო.

შირონაკა ტოშიფუმი დელეგაციის წევრებთან ერთად 18 თებერვალს სამტრედიას ოფიციალურად სტუმრობდა. შარშან დაპირებული საკურას ნერგები მუნიციპალიტეტის მერთან, ვალერიანე ფოცხვერიასთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მოქალაქეებთან ერთად დარგეს.

ქართულ-იაპონურ ურთიერთობას ორ ქალაქს, სამტრედიასა და მიტოიოს შორის საფუძველი ჩაუყარეს იაპონიაში ქართველი ვიოლონჩელისტის, გიო ხეოშვილის, ხსოვნის პატივსაცემად შექმნილ ასოციაცია ''მეგობარის'' წევრებმა და მუსიკოსის შვილმა გურამ ხეოშვილმა. ქალაქებს შორის გაფორმებულია მეგობრობის მემორანდუმი, რომელიც იმთავითვე ურთიერთობების გაღრმავებას გულისხმობდა.

ქალაქ მიტოიოს მრჩეველი შირონაკა ტოშიფუმი აღფრთოვანებულია ქართული სტუმარ-მასპინძლობით და ისტორიული ადგილებით: ''სამტრედიაში ბევრი მეგობარი შევიძინე. მადლობა ქალაქის მერს, ბატონ ვალერიანეს ასეთი თბილი მიღებისთვის. საქართველო სწორედ ამ ქალაქიდან შემიყვარდა. ორივე მხარის უდიდესი სურვილია, რომ მოხდეს ჩვენი ქალაქების დამეგობრება. ვფიქრობ, რომ საკურას ყვავილი, ისედაც ძალიან ლამაზ ქალაქს, სამტრედიას კიდევ უფრო გაალამაზებს''.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია ქართულ-იაპონურ ურთიერთობას იმედიანი თვალით უყურებს. ''მიხარია, რომ ჩვენი იაპონელი მეგობრები ჩვენს ქალაქში სტუმრად იმყოფებიან. ჩამოგვიტანეს ულამაზესი საკურას ნერგები, რითაც კიდევ უფრო მომხიბვლელს გავხდით სამტრედიას. ყველას დიდი სურვილია, მოხდეს ჩვენს ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავება, ქართული და იაპონური კულტურის შერწყმა. ორივე მხარეს სხვადასხვა მიმართულებით გარკვეული გეგმები გვაქვს და აქტიურად ვთანამშრომლობთ''.

საკურას ნერგების რგვის პროცესში აქტიურად ჩაერთო სამტრედიის მერიის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური. დირექტორი, ელგუჯა კალაძე თანამშრომლებთან ერთად იაპონელ სტუმრებს საკურას დარგვის პროცესში დარგვის სპეციფიკაში არკვევდნენ.





# ტრენინგი საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელებისთვის

ნინო ნანიტაშვილი

მიმდინარე წლის 10, 11, 12 და 13 თებერვალს სამტრედიის №1 ბაგა-ბაღის შენობაში განთავსებულ ცენტრ ''ლამპარში'' ჩატარდა ტრენინგი ''შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის'' სხვადასხვა თემაზე:

''ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები'', ''ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციები'', ბავშვის განვითარება'', ''განვითარების დარღვევები'', ''ემოციური სფეროს დარღვევები'', ''შემთხვევის მართვა'', ''სწავლების ბაზისური სტრატეგიები'', პრობლემური ქცევის მართვა'', ''ძალადობისგან დაცვა'' და ''კომუნიკაციური უნარები''.

ყოველი დღე მთავრდებოდა შემაჯამებელი ტესტირებით. ამ ტრენინგით აღმზრდელებმა შეიძინეს ბევრი უნარჩვევა, რომელიც დახმარებას გაუწევთ ინკლუზიურ ბავშვებთან მუშაობაში.

საბავშვო ბაგა-ბაღებიდან ჩართული იყო 16 აღმზრდელი.



ტრენინგის ბოლო შემაჯამებელ სამუშაო დღეს დაესწრო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე მარინა შენგელია, რომელმაც დადებითად შეაფასა ტრენინგის შედეგები. მან მადლობა გადაუხადა ორგანიზატორს სოფო კუპატაძეს და ტრენერს ნინო მიქაია აღნიშნა, რომ ასეთი ტრენინგები მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობისათვის. შემდგომში ბაგა-ბაღებში აუცილებელია აღმზრდელებმა გამოიყენონ სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობის დროს.

ჩვენი სურვილია, რომ ასეთი ტრენინგები ხშირად ჩატარდეს ჩვენს მუნიციპალიტეტში.





# არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის

ნათია ნაცვლიშვილი

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინტერესო შეხვედრა გაიმართა მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში. შეხვედრას დაესწრნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მედიის და საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები.

არასამთავრობო ორგანიზაციის ''ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს'' აღმასრულებელი დირექტორის, ნინო ხუხუას თქმით, მათი ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. მან ხაზი გაუსვა იმას, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობების, სამოქალაქო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივ ძალისხმევას არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაში.

მოზარდებისათვის დამახასიათებელი ქცევით და ემოციურ პრობლემებზე, ასევე, ანტისოციალური ქცევის განვითარების დამცავ ფაქტორებსა და რისკფაქტორებზე ფსიქოლოგმა თეა ფანჩულიძემ ამომწურავად ისაუბრა. მისი თქმით, ყველაზე კრიზისულ პერიოდში, მოზარდობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მშობლებმა და პედაგოგებმა ბავშვის სულიერ სამყაროს. სხვადასხვა აქტივობებში კარგი აკადემიური მოსწრების ბავშვებთან ერთად უნდა ჩავაბათ ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვები, ამ ბავშვების საუკეთესო სამკურნალო საშუალებად ითვლება სპორტი.

დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობასა და მექანიზმებზე იურისტმა ანა ჩაფიძემ ისაუბრა. მან დარბაზში მყოფთ მიაწოდა ინფორმაცია კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების პრევენციული ღონისძიებების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ.

ანა ჩაფიძე: ''არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირების საუკეთესო საშუალება არის პრევენცია, პრევენცია გულისხმობს წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციაში ბავშვის ხელშეწყობას, არასრულწლოვანთა დანაშაულზე პასუხისმგებლობის ასაკი 14 წელია, ამიტომ, მნიშვნელოვანია, პრევენცია მცირე ასაკიდან განხორციელდეს. 2010 წლამდე არ არსებობდა პრევენციული ღონისძიებები, რის გამოც მივიღეთ ძალიან ცუდი სტატისტიკა, 300-მდე არასრულწლოვანი იყო სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 2010 წელს დაიწყო საკანონმდებლო რეფორმა და ბოლო ექვსი წელია, ამ დაწესებულებაში 25 არასრულწლოვანია. 2015 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მივიღეთ, რაც ითვალისწინებს პრევენციას, რომ დანაშაულის განმეორების შემთხვევები შემცირდეს. მეორე დონის პრევენცია გულისხმობს ჩარევას იმ ბავშვების ცხოვრებაში, რომლებიც დანაშაულის რისკის ზღვარზე დგანან, მესამე დონის პრევენცია იმათ ეხება, რომლებმაც ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება. აქ ჩარევის ფორმა იცვლება, ამ ბავშვებს უნდა მივაწოდოთ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სერვისები. განრიდება-მედიაციის პროგრამა გულისხმობს არასრულწლოვნის განრიდებას, ის არ იხდის სასჯელს, 1 წლის განმავლობაში პრობაციის ბიუროს სოცმუშაკის ზედამხედველობის ქვეშ არის''.



# როგორ ნაწილდება ის, რაც არ დარჩენილა

## მედიის წინაშე პოზიორობას სჯობს მოგვმართონ კითხვებზე პასუხების გასაცემად!

## ჩაშლილია, აბა, ამ თანხას სახლში ვინ გაატანდა?!

თეა ბაბუნაშვილი

***ეს წერილი, ძირითადად, კომენტარებია იმ ადამიანებისა, საკითხის ირგვლივ საუბრისთვის კომპეტენტურები რომ არიან. სასაუბრო თემა ბიუჯეტი და მისადმი ადგილობრივი ხელისუფლებისა და ოპოზიციის დამოკიდებულება გახლავთ. რომელიმე მხარემ ბრალი მიკერძოებაში რომ არ დაგვდოს, რაც არაერთხელ მომხდარა იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეს რა ეშწარა, ან ენიშნა, მხოლოდ კომენტარებით შემოვიფარგლეთ. დასკვნებს მკითხველი თავად გამოიტანს.***

*საკითხს, გასული წლის ბიუჯეტის შესრულებას რომ მიმოიხილავდა, როგორც მოსალოდნელი იყო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომაზე ხმაური მოჰყვა. ოპოზიცია უკვე მერამდენედ მის არასწორ ხარჯვას აპროტესტებს. საკრებულოს უმრავლესობის მიერ ამ კუთხით მუშაობის დამაკმაყოფილებლად შეფასება მიუღებელი აღმოჩნდა ოპოზიციური სპექტრისთვის.*

როგორც სხვა დროს ხშირად, ამჯერადაც ბიუჯეტის თემაზე კვლავ მამუკა ბიბილეიშვილი აქტიურობდა და მისი კითხვები საყვედურიანი ტონით ისევ საფინანსო სამსახურის უფროსის, დავით ბაღდავაძის მისამართით გახლდათ დასმული. "მერიის მუშაობა ბიუჯეტის შესრულების კუთხით ვერანაირად ვერ უნდა შეფასდეს დადებითად, რადგან შემოსავლების შესრულება 98%-ით მოხდა, ხოლო ხარჯები 87%-ით იქნა გაწეული. არაფინანსური აქტივები 81%-ით შესრულდა. მოგეხსენებათ, ეს ნიშნავს, რომ ფული გაქვს და ვერ ხარჯავ, დასახარჯად გადაგაქვს მომავალ წელს. ეს ითვლება არაეფექტურ მუშაობად. ასეთი რამ მხოლოდ გასული წლის ბიუჯეტში არ მომხდარა. 2016 წლის ბიუჯეტშიც დარჩა ნაშთი და ყველა მომდევნო წელს. ფაქტობრივად, ზედიზედ 4 წელია, რაც ასე ხდება. გეგმას რომ შეიმუშავებ და გაწერ, საბიუჯეტო თანხა იმის მიხედვით უნდა დაიხარჯოს. დაუხარჯაობას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ასახელებენ აბსურდულ მიზეზებს, რომ წლის ბოლოს ჭარბად შემოვიდა თანხა და ა.შ. ასეთ პრობლემებს ძირითადად ტენდერების ხშირი ჩაშლა იწვევს. გამოცხადდება ტენდერი და აღმოჩნდება, რომ ხარჯთაღრიცხვა არასწორადაა გაკეთებული, არასრულია დოკუმენტაცია და მსგავსი პრობლემები, რომელთა მოგვარება ტენდერის გამართვამდე აუცილებელია, საჭირო კი არა! გასაგებია, შეიძლება ტენდერი გარდამავალი იყოს, მაგრამ ძირითადად ტენდერი ისეთ დროს უნდა გამოაცხადო, რომ საანგარიშო წელში ჩაეტიო. დეკემბერში რომ გამოაცხადებ მას ან სამუშაო როგორ ჩატარდება, ან როგორ მოესწრება?! დროში გაწელილი ეს პროცესები, იწვევს ნაშთის დატოვებას კალენდარული წლის ბოლოს." _ აცხადებს მამუკა ბიბილეიშვილი. იგი ბოლო 4 წლის მანძილზე წლის ბოლოს ბიუჯეტში დაუხარჯავ თანხას ციფრებში ასახელებს, მისივე განცხადებით: 2016 წლის დასაწყისში წინა წლის ნაშთი ბიუჯეტს 800 ათასი ლარზე მეტი ჰქონდა, იგი გაიწერა ბიუჯეტში და 2017 წლისთვის ეს ციფრი მილიონ ნახევრამდე გაიზარდა. 2018 წლის დასაწყისში დაუხარჯავი უკვე სამ მილიონამდე იყო, 2018 წლის ბოლო ნაშთი 5 მილიონამდე გახლდათ, გასულ, 2019 წლის ბოლოს კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ნაშთად 3 მილიონი დარჩა! "ბატონი დავითი საკრებულოს სხდომაზე რომ ამბობდა, ეს ციფრები ჩაშლილია დოკუმენტში და ნახეთო, ჩაშლილი იქნებ, აბა, ამ თანხებს სახლში ვინ გაატანდათ. საქმე ისაა, როგორაა ჩაშლილი და როგორ სრულდება! გასაგებია, ეს თანხები ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზეა გათვლილი და არა სხვა მიმართულებით, მაგრამ ნოემბრის ბოლოს რომ დაიწყებ ტენდერების გამოცხადებას, დაიწყე ადრე, გაქვს თანხა, შემოსავლები განსაზღვრულია... განაწილება ვერ მოვატანინეთ, რაში გაიწერა ის თანხა, ნაშთად რომ აქვს ბიუჯეტს დარჩენილი!" _ დასძენს იგი. ამასთანავე ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლებაში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყოფნის დროს შექმნილ საკანონმდებლო და საშემოსავლო ადმინისტრირების სრულყოფილებაზე: "ესენი რომ ეძახიან, იმ ავბედით 9 წელიწადში, ბიუჯეტის ფორმირება ისე დასრულდა და იმდენად შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა, საგადასახადო ადმინისტრირება ისეთ დონეზე ავიდა, რომ საშემოსავლო გადასახადები ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შედის ბიუჯეტში. და შეიძლება იგი ისეთ დროს და იმ რაოდენობითაც შევიდეს, საერთოდ რომ არ ელოდები! და ეს იმ ავბედითი 9 წლის დამსახურება გახლავთ. ვისაც უნდა პოლიტიკურ განცხადებად ჩამითვალოს ეს სიტყვები, ხმამაღლა შემიძლია მისი კვლავ გამეორება!"

უკვე კარგა ხანია, ყველა სხდომაზე სახელმწიფო აუდიტის დასკვნის გასაჯაროებასა და მასში დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემას ითხოვს ოპოზიცია. მათი განცხადებით, ეს გახლავთ დოკუმენტი, რომელიც "სრულად ასახავს სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას და მასში არსებული ხელისუფლების მუშაობის მისამართით სახარბიელო არაფერი წერია." _ აცხადებს ოპოზიციის წარმომადგენელი.

პასუხები მის ამ განცხადებებზე თავის მხრივ აქვს საფინანსო და საბიუჯეტო სამსახურის უფროს დავით ბაღდავაძეს. იგი ამტკიცებს, რომ: "კომენტარი ამ საკითხზე არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ, ზოგადად, საზოგადოების საყურადღებოდაც მინდა გავაკეთო _ ნაშთი არ დარჩენილა!" თუმცა იქვე დავით ბაღდავაძე აღნიშნავს: "ნაშთი განაწილებულია სამუშაოების მიხედვით. იქ არის თანხები, რაზეც ტენდერები დასრულებული არ იყო, გვქონდა გარდამავალი ნაშთები, შესანარჩუნებელი ციფრები. ადვილია ხელის გაშვერა მერიის მისამართით, რომ რაღაც ხარვეზი არის. ტენდერები წლის დასაწყისში ცხადდება, მაგრამ არის მისი ჩავარდნის შემთხვევები, მერე გარკვეული პერიოდი გადაიდება მისი თავიდან გამოცხადება. 98%-ით შესრულებულ საშემოსავლო და 87%-ით გაწეულ ხარჯებს შორის არსებული ნაშთი სწორედ შესანარჩუნებელი, გარდამავალი ნაშთები გახლდათ, რომელსაც თავისი მიზნობრიობა და ვადები აქვს." გარდა ამისა, ხმამაღალი განცხადების ტონით ოპონენტების გასაგონად იგი ამბობს, რომ: "ყველა მონაცემი და შესაბამისი დოკუმენტი განთავსებულია ელექტრონულ სივრცეში და ვინც ფინანსისტია და შეუძლია ამ დოკუმენტაციის გაგება, ნახავს და მიხვდება რა და როგორ ხდება! შეკითხვას, რომ გაკლდებოდა თანხა და გვიან რომ შემოგივიდა, გვიან შემოსული თანხა რაში დახარჯეო, ვპასუხობ, თანხა შემოდის საერთო ბიუჯეტში და მას არ აწერია რაში უნდა დაიხარჯოს, იგი მოთხოვნისამებრ იხარჯება! ხარჯვითი ნაწილი შესრულდა ისე, როგორც გაწერილი გვქონდა." საკრებულოს სხდომებზე ოპოზიციის მხრიდან საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელის მისამართით არაერთხელ გამოთქმულ კრიტიკას, თავად დავით ბაღდავაძე ეხმაურება და აცხადებს: "ჩემი მხრიდან პასუხი ყოველთვის ეცემა ოპოზიციის მიერ დასმულ ყველა კითხვას. ყოველ შემთხვევაში მე ასე ვთვლი. ვისაც უნდა დაინახავს, ვისაც არ უნდა და, ვერ დაინახავს. ბიუჯეტის დამტკიცებისას ოპოზიცია არ დაგვესწრო, დემონსტრაციულად დატოვეს სხდომა. შემდეგ კი საუბარი არასწორი მიმართულებით მიჰყავთ. ჩვენი ჩართულობით, ყოველწლიურად ბიუჯეტს მილიონ ლარამდე აქვს მატება. და ეს იმის ხარჯზე, რომ რკინიგზის მიმდებარედ გასხვისებული ტერიტორია ბიუჯეტის ფარგლებში დავარეგისტრირეთ."

"არ ვიცი შეგნებულად აკეთებენ ამას, თუ არ იციან!" _ ამ სიტყვებით დაიწყო საკუთარი კომენტარი თემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და დარჩენილ ნაშთად მოყვანილ ციფრებს გადაჭარბებული უწოდა. ისიც, ისევე როგორც საფინანსო სამსახურის უფროსი, აცხადებს, რომ ნაშთი, თუ ასეთი დარჩა, შესაბამისი კანონის შესატყვისად არის გაწერილი ბიუჯეტში. მისი არსებობა გარკვეული გარემოებებითაა გამოწვეული, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს. ამ გარემოებებად კი ისიც გარდამავალ ტენდერებს ასახელებს: "ნაშთი ზოგადად რჩება, და რჩება იგი ტენდერებიდან, მთავარია, სწორად განაწილდეს და თანხა აუთვისებელი არ დარჩეს. ამასთანავე, 2019 წელს ჩვენ დაგეგმილი და შეუსრულებელი არც ერთი სამუშაო არ დაგვრჩენია. გარდამავალი პროექტების სახით ყველა დარჩენილი სამუშაო შესრულდება. ცუდად შესრულებულ პროექტს ჩვენ არ ვიბარებთ. არის ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელსაც ტენდერის პირობებში ორი ობიექტის მშენებლობაზე ჰქონდა ჩვენს მუნიციპალიტეტში პასუხისმგებლობა აღებული, მაგრამ არ შეასრულა პირობა ისე, როგორც საჭირო იყო, ამიტომ მათ წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეგვაქვს." რაც შეეხება სახელმწიფო აუდიტის დასკვნას, რომლის გასაჯაროების შესახებ ოპოზიცია საკრებულოს სხდომებზე კარგა ხანია საუბრობს და რომელშიც მათი განცხადებით მუნიციპალიტეტის მერიის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზეა საუბარი, მუნიციპალიტეტის მერი აცხადებს, რომ: "ეს დოკუმენტი გასაჯაროვებულია, ყველას თვალწინ დევს. თუკი ვინმეს რამენაირი პრეტენზია აქვს, შეუძლია ნახოს იგი. მასში დასამალი ნამდვილად არაფერი არის! აგრეთვე, შეუძლია შეამოწმოს ყველა შესრულებული სამუშაო." გარდა ამისა, ვალერიანე ფოცხვერია ოპოზიციას მომავალი წლისთვის გასათვალისწინებელი სამუშაოების დაგეგმვაში მათთან ერთად მონაწილეობისკენ მოუწოდებს და შესაბამისი კომისიის წევრობასაც ჰპირდება: "ვთავაზობ ოპოზიციას, ჩაერთოს მიმდინარე წლის სამუშაოების პროექტირებაში. პირიქით, მე მინდა მათი მონაწილეობა. ეს ქალაქი და რაიონი მარტო ჩვენი არ არის, ყველასია, პოზიციისაც და ოპოზიციისაც. პროექტებიდან დაწყებული უშუალოდ სამუშაოებით დამთავრებული, დასამალი არავისთვის არაფერი გვაქვს. ამას არა მხოლოდ ოპოზიციას, არამედ დაინტერესებულ ნებისმიერ მოქალაქეს ვთავაზობ!"

რაც შეეხება სოლიდურ თანხებში გამოხატულ ნაშთს, როგორც საფინანსო სამსახურის უფროსი, ისე მუნიციპალიტეტის მერი ოპოზიციის მიერ დასახელებულ ციფრებს გადაჭარბებულს უწოდებენ: "მაგ ციფრები გადაჭარბებულია, არ ვიცი, საიდან გახლავთ მოტანილი! შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი წარმატებული მუნიციპალიტეტია. თანხები, რომლებიც რეგიონალური განვითარების თუ სხვა ფონდებიდან არის გამოყოფილი, ათვისებული გვაქვს, გარდა გარდამავალი პროექტებით გათვალისწინებული თანხებისა, სადაც კონკრეტულმა მშენებელმა ვერ შეასრულა სატენდერო პირობები. მედიის წინაშე ყვირილს და პოზიორობას სჯობს მოგვმართონ კითხვებზე პასუხების გასაცემად. კიდევ ვიმეორებ, ამას ვთავაზობ არა მხოლოდ ოპოზიციას, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს!"

*როგორ ნაწილდება ნაშთი, რომელიც არ დარჩენილა, ან თუკი დარჩა რატომ დარჩა, ან კიდევ, უსაფუძვლოდ როგორ ამტკიცებს ოპოზიცია ესოდენ დიდი ციფრების არსებობას და თუკი ეს ასეა, რატომ არავინ სთხოვს მათ ამისთვის პასუხს, ჩანაწერების მოსმენის შემდეგ გაჩენილი კითხვებია, რომელზეც, სავარაუდოდ, ორივე მხარეს ექნება პასუხები გასაცემი. ასე რომ, "სამტრედიის მაცნეს" ხელისუფლება და ოპოზიცია მათთვის ძნელად დასათმობ კაბინეტებში, მკითხველი კი ჩვენი მუდმივი შეკრების ადგილზე, გაზეთის ფურცლებზე დაელოდოს!*

# "ახალგაზრდობა, რომელიც მამების თაობას უმოქმედობას არ აპატიებს" _ სამტრედიის მერი მოსწავლეებს შეხვდა



ნინო ნანიტაშვილი

"მე რომ მუნიციპალიტეტის მერი ვიყო". _ ამ ფორმატში დიალოგი შედგა 17 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის წევრები სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერთან იმ ინიციატივებით შევიდნენ, რომლის განხორციელებაც ახალგაზრდების ინტერესში შედის. მოსწავლეების მიერ შეთავაზებული პროექტები მოიწონა მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, განსაკუთრებით აქტუალურად მიიჩნია ქალაქში მომრავლებული მაწანწალა ძაღლების საკითხის მოგვარება და სპორტის სასახლის აშენება.

მოსწავლეთა პარლამენტის წევრები ქალაქში დასუფთავების მიზნით ურნების დამატებას ითხოვენ. მათ გაუმართლებლად მიაჩნიათ ქალაქში საზოგადოებრივი ტუალეტის არქონა.

მერმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ წინა წლებში ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული, კონტრაქტორს გაჰყავდა ძაღლები, აცრიდნენ, ყურზე ბირკას ადებდნენ და უკან აბრუნებდნენ, რასაც მოსახლეობისთვის სასურველი ეფექტი არ მოუტანია.

ფოცხვერიას განცხადებით, ძაღლის კბენის ეშინია მოსახლეობას და უკან დაბრუნებული, თუნდაც აცრილი, კბენის საშიშროებისაგან ვერ იცავს ქუჩაში მოსიარულეებს.

"ოპოზიცია რომ იყოთ, ვიცი, რა პასუხსაც გაგცემდით. მათ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მაწანწალა ძაღლების პრობლემა "მოგვარებული" ჰქონდათ, შუაგულ ქუჩაში ხოცავდნენ ძაღლებს. სრულიად სამართლიანია თქვენი მოთხოვნა, თქვენი თვალით დანახული პრობლემები. ვეცდებით, გავითვალისწინოთ და დროულად მოვაგვაროთ. მოდის ახალგაზრდობა, რომელიც მამების თაობას უმოქმედობას არ აპატიებს". _ განაცხადა ვალერიანე ფოცხვერიამ.





# 2020 წლის 14 თებერვალს



საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის თანამშრომლებმა და მოხალისეებმა ჩაატარეს "ცხელი ჩაის აქცია". მოხალისეებმა ცხელი სასმელი (ჩაი, ყავა) შესთავაზეს გარემოვაჭრეებს, ასევე გაავრცელეს ინფორმაცია წითელი ჯვრის საქმიანობის შესახებ.

აქცია მიზნად ისახავდა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მყოფი ადამიანებისადმი დახმარების გაწევის გამოცდილების მიღებას.

***ნათია პაპავა***

***საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი***





# სოლიდარობა აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებს

თბილისში, პარლამენტის წინ, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ საპროტესტო აქცია გამართა სახელწოდებით _ "სოლიდარობა აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებს". აქციის მონაწილეებმა აჭარის მაუწყებელში მიმდინარე პროცესები გააპროტესტეს.

2019 წლის 22 ნოემბერს აჭარის ტელევიზიის დირექტორად გიორგი კოხრეიძის არჩევის შემდეგ ტელევიზიის თანამშრომლები გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ ახალი ხელმძღვანელი ხელისუფლების დავალებით მათი დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას მოისურვებდა.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში მიიჩნევენ, რომ გიორგი კოხრეიძის არაერთმა ნაბიჯმა ტელევიზიის თანამშრომელთა ეჭვი და შიში რეალური გახადა.

"ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ახალმა დირექტორმა აიძულა, ტელევიზია დაეტოვებინა ნათია ზოიძეს, რომელიც არხის სარედაქციო პოლიტიკას განსაზღვრავდა. ახალმა დირექტორმა არაერთხელ გამოხატა უკმაყოფილება, რომ ტელევიზიაში კრიტიკულ კონტენტს ქმნიან. ბოლო დღეებში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ გიორგი კოხრეიძე აპირებს საინფორმაციო სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილის პოსტიდან ჩამოცილებას, ახალმა დირექტორმა უარი თქვა ეთერში საგამოძიებო ფილმების განთავსებაზე. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ცხადყოფს, რომ ტელევიზიის დირექტორი ყველაფერს აკეთებს ტელევიზიის სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფის და კრიტიკული აზრის ჩახშობისთვის". _ ამბობენ ქარტიაში.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე პროცესებზე სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს მმართველ პოლიტიკურ ძალას და მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს მაუწყებლის თანამშრომლების სარედაქციო დამოუკიდებლობა, არ დაუშვას, თუნდაც, ერთი თანამშრომლის ტელევიზიიდან დათხოვნა.

***ნინო ნანიტაშვილი***

***საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრი***

# სასტიკი მკვლელობა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დარბაზში

18 თებერვალს სამტრედია საზოგადოების ყურადღების ცენტრში საზარელი მკვლელობით მოექცა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამტრედიის ფილიალის შენობაში განქორწინებისათვის მისულ 26 წლის სალომე ბოხუას მეუღლემ, 28 წლის გიგა აბშილავამ დანით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. დამნაშავე შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სამტრედიის სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე დააკავა. დანაშაულის ჩადენის იარაღი _ დანა შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

როგორც მოკლულის მამა აცხადებს, 1994 წელს დაბადებული სალომე ბოხუა და 1992 წელს დაბადებული გიგა აბშილავა 10 წლის ცოლ-ქმარი იყვნენ, მათ ორი მცირეწლოვანი შვილი, 8 და 6 წლის გოგონა ჰყავდათ. გარკვეული პერიოდი სამტრედიაში გოგონას მამის ოჯახში ცხოვრობდნენ, შემდეგ საცხოვრებლად ბათუმში გადავიდნენ. კონკრეტული მომენტისთვის ისინი ერთად აღარ ცხოვრობდნენ. ხელის გაწერა დისტანციურად უნდა მომხდარიყო, სალომე ბოხუა სამტრედიაში, ხოლო გიგა აბშილავა ბათუმის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში უნდა მისულიყო განქორწინებისთვის საჭირო პროცედურის ჩასატარებლად. თუმცა, ბრალდებული მეუღლეს სამტრედიის სამოქალაქო რეესტრის შენობაში დახვდა, სადაც მოკლული მამასთან ერთად მივიდა. სანამ მამა მანქანას აპარკინგებდა, ბრალდებული მოკლულს თავს დაესხა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, მაგრამ მალევე სსკ-ს 109 მუხლით გადაკვალიფიცირდა, რაც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის სასჯელს გულისხმობს და 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

***თეა ბაბუნაშვილი***



# "თვითმფრინავის რეისი თუ გადაიდებოდა, შეიძლებოდა დავინფიცირებულიყავით"

ქეთევან ჭელიძე

***სულ ცოტა ხნის წინ ჩვენი გაზეთის მკითხველებს საინტერესო ინტერვიუ შევთავაზეთ ჩინეთში სასწავლებლად მყოფ სამტრედიელ მარიამ ლალიძესთან. ნიჭიერებით გამორჩეული გოგონა ჩინური ენის შესწავლითაა დაინტერესებული. სასწავლო პროგრამით ის განსუს პროვინციაში, ქალაქ ლანჭოუს პოლიტიკური მეცნიერებებისა და სამართლის უნივერსიტეტში ეუფლება უცხო ენას. კორონავირუსის გავრცელების გამო მარიამი თავის მეგობართან, ია გოგიტიძესთან ერთად იძულებული გახდა, თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო. რა მდგომარეობაა ლანჭოუში, როგორ ცხოვრობენ იქ ქართველი და არა მარტო ქართველი სტუდენტები, როგორ გადმოლახეს საზღვარი და როგორ ხვდებიან ჩინეთიდან დაბრუნებულ მარიამს სამშობლოში, ამჯერად მასთან ამ თემაზე ვისაუბრებთ.***

**– მარიამ, ვიცი, რომ ვირუსის გავრცელებისთანავე გქონდათ საქართველოში დაბრუნების მცდელობა, მაგრამ ვერ მოახერხეთ, რა სირთულეებს წააწყდით?**

– დიახ, გაგვიგრძელდა ეს პროცესი. ჯერ პირდაპირი რეისით ვაპირებდით საქართველოში ჩამოფრენას, შემდეგ თურქეთის გავლით უნდა შემოვსულიყავით ქვეყანაში, მაგრამ წამოსვლის დღეს იგივე განმეორდა, რეისი გაუქმდა. საზღვრები იყო ჩაკეტილი. ბოლოს გადავფრინდით პეკინში, იქიდან ყატარის დედაქალაქ დოჰაში. 2 თებერვალს ჩამოვფრინდით თბილისში.

**– უსაფრთხოების მიზნით პროცედურები, ალბათ, აქაც გაიარეთ?**

– დიახ, შემამოწმეს ტემპერატურა ხომ არ მქონდა და ვახველებდი თუ არა.

**– ლანჭოუში ქართველები ისევ რჩებიან?**

– სულ ოცამდე ქართველი ვიყავით. ნაწილი დაბრუნდა, ნაწილი დარჩა. თავს ივავებენ სასწავლო პროცესის შეწყვეტის, ან, თუნდაც, სამგზავრო თანხის უქონლობის გამო. თვითონ უჰანშიც, სადაც ინფექციის გავრცელება მოხდა, ქართველებიც არიან. როგორც ვიცი, ზოგს თვითონ არ უნდა დაბრუნება, რისკებიდან გამომდინარე, რომელიც მგზავრობის დროს შეიძლება შეექმნათ. იმ ქალაქში ბევრი დაინფიცირებულია, მაგრამ მოსახლეობა დაცულადაც გრძნობს თავს. სწრაფი ტემპით აშენდა საავადმყოფო, ჰყავთ პერსონალი, რომელთაც კარგად იციან თავიანთი საქმე. შესაბამისად თვლიან, რომ საჭიროების შემთხვევაში იქ უფრო უმკურნალებენ, ვიდრე საქართველოში, სადაც ამის არანაირი პირობა არ არის.

**– ჩინელები პანიკაში არ ჩავარდნილან, თქვენი აზრით, რა განაპირობებს მათ სიმშვიდეს?**

– პანიკაში მართლაც არ არიან. სახელმწიფო იმდენად მობილიზებულია ყველანაირად, რომ სჯერათ, მალე მოგვარდება პრობლემა. თვითონაც ძალიან ფრთხილობენ და ასრულებენ ყველა იმ პირობას, რაც აუცილებელია თავის დასაცავად. მოუწოდებენ, უპირველესად დაიცვან ჰიგიენა, მაქსიმალურად შეეცადონ, გარეთ არ გავიდნენ, პირბადით იარონ.

**– შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი პარალიზებულია?**

– მთლიანად პარალიზებული ლანჭოუ არ ყოფილა. ეს ყველაფერი დაემთხვა ჩინურ ახალ წელს, რომელიც 25 იანვარს დადგა. ტრადიციის მიხედვით, ამ დროს, ერთი კვირის მანძილზე არაფერი მუშაობს, ყველა ისვენებს, ინფექციის გამო სახელმწიფოს მიერ მას მეორე კვირაც დაემატა. ყველაფერი დაკეტილი იყო, მხოლოდ მარკეტი მუშაობდა, მუშაობს, აგრეთვე, გამოძახების სერვისი.

არც ჩვენ გვეშინოდა, მაგრამ რომ ვხედავდით, მშობლები როგორ ნერვიულობდნენ, ამას უფრო განვიცდიდით. ის, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ვხედავდი-თქო, არა! იმ პერიოდში მგზავრობა უფრო საფრთხის შემცველი იყო, ვიდრე ქალაქში დარჩენა. როცა ჩვენ წამოვედით მხოლოდ 15 ადამიანი იყო დაინფიცირებული. ახლა ეს რიცხვი გაზრდილია.

**– ლანჭოუში დარჩენილი მეგობრები, ალბათ, ხშირად გეხმიანებიან?**

– დიახ, ყოველდღე. გარეთ მხოლოდ პროდუქტების შესაძენად გადიან, ძირითადად, სტუდენტები საერთო საცხოვრებელში არიან. ელოდებიან, როდის დაიწყება სწავლის პროცესი. სავაჭრო ობიექტებში ყველგან ამოწმებენ ადამიანებს. ბავშვები ამბობენ, მალე საერთო საცხოვრებელშიც დაიწყებენ შემოწმებასო.

ჩვენს სასწავლებელში უმეტესად სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები სწავლობენ, ჩინელები ნაკლებად. ისინი იშვიათად ინტერესდებიან უცხო ენებით. ასევე სწავლობენ ყაზახები, მაგრამ მათ სამშობლოში დაბრუნების საშუალება არ ეძლევათ. საზღვარი პირველივე დღეს ჩაუკეტა სახელმწიფომ თავის მოქალაქეებსაც.

**– თქვენ აპირებთ იქ დაბრუნებას? თუ არ ვცდები, სასწავლებლის ხელმძღვანელობის განცხადებით, წასვლის შემთხვევაში სტუდენტებს უკან აღარ მიიღებდნენ?**

– დიახ, იმ შემთხვევაში არ მიიღებდნენ, თვითმფრინავის რეისი თუ გადაიდებოდა. შეიძლებოდა, დავინფიცირებულიყავით და საფრთხე შეგვექმნა. სასწავლო პროცესი 24 თებერვალს უნდა განახლდეს. როცა წამოვედით, სასწავლებლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გვითხრა, სანამ არ გეტყვით, არ დაბრუნდეთო. მე რას გადავწყვეტ, არ ვიცი. დავბრუნდები თუ არა, ენის შესწავლას მაინც გავაგრძელებ, თბილისში არის ამის პირობა.

**– როგორ შეგხვდნენ საქართველოში, დამოკიდებულება როგორია ჩინეთიდან ჩამოსულის მიმართ?**

– შეხვედრის დროს ყველა მეუბნება, ვირუსი ხომ არ ჩამოგვიტანეო. მეც, ადამიანური ფაქტორია, 10 დღის განმავლობაში სახლიდან არ გავსულვარ, ყველას ვერიდებოდი. არც მაღალი ტემპერატურა მქონდა და არც მახველებდა, მაგრამ თავს მაინც ვიკავებდი. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ქართველი ავსტრალიაში დაღუპული ცხოველებზე უფრო წუხდა, ვიდრე იმ უამრავი ჩინელის, ინფექციას რომ ემსხვერპლა. არ შეიძლება, არ უთანაგრძნო ამ ადამიანებს, თუნდაც, იმ კადრების შემდეგ, აქ რომ ტელევიზიით გადიოდა. ჩინელები თავმდაბალი ხალხია, შრომისმოყვარე, უცხოელების მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით გამოირჩევიან, ცდილობენ, მხარში დაგიდგნენ. არ გვეკადრება ქართველებს, მათი აუგად ხსენება.

**– ჩვენთან გავრცელებული ინფორმაციით, ვირუსი გველის ხორცის საკვებად მიღების შედეგად გავრცელდა, ან იქნებ სხვა მიზეზით. ჩინეთში თუ გაიჟღერა რაიმე განსხვავებულმა კულუარულმა ინფორმაციამ?**

– დიახ, ძირითადად, როგორც ამბობენ მიზეზი ესაა. ზოგადად, ქვეწარმავლებს ყველა ჩინელი არ ჭამს, ამით უფრო დაბალი სოციალური ფენა ივებება. წარმოიდგინეთ, 3 მილიონიან საქართველოში შიმშილობენ ბავშვები და ჩინეთი მილიარდნახევრიანი ქვეყანაა. ძაღლის ხორცის საკვებად გამოყენება სახელმწიფოს მიერ აკრძალულია, მას მხოლოდ მოსახლეობის 10 პროცენტი თუ ჭამს. იქ არის მუსლიმანების სასადილოები, სადაც შედარებით სუფთად კეთდება საჭმელები, საქონლის, ფრინველისა და ცხვრის ხორცით მზადდება კერძები. ცნობილია ლანჭოუს საქონლის ხორცის სუფი, რომელიც ძალიან გემრიელია და შეიძლება, ჩინეთის სხვა პროვინციაშიც დააგემოვნოთ.

რაც ჩამოვედი, რაღაც სულ ამ ხალხის დაცვაში ვარ, რომ ისინი ველური აბორიგენები არ არიან, რომ ყველაფერს არ ჭამენ, არ არიან უკულტუროები და ა. შ. სინამდვილეში უდიდესი და უძველესი კულტურა აქვთ. ზოგადად ჩინეთი ძალიან დიდი ქვეყანაა და სხვადასხვა პროვინციაში ჩინელებიც განსხვავებულები არიან. ყველას თავისი დიალექტიც აქვთ. ფაქტია, დიდ პატივს სცემენ უფროსებს, რიდი აქვთ მშობლების და ზრუნავენ მათზე. არ არის ჩვენი მხრიდან ლამაზი, ასეთი არასოლიდური დამოკიდებულება, შეუფერებელია ჩვენთვის.





# მესამესკოლელებმა მოხუცებს ერთი დღე გაულამაზეს

სამტრედიის "სათნოების სახლის" ბინადართ არაერთი სკოლის მოსწავლეთა სტუმრობა ახსოვს, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან სათნო მოხუცების გახარებასა და სიყვარულში. ამჯერად მესამე საჯარო სკოლის მეოთხე გ კლასის მოსწავლეები და დამრიგებელი, ანა აბზიანიძე ეწვივნენ "სათნოების სახლს". პატარებმა ოჯახებიდან წამოღებული მურაბები, ტკბილეული და სხვადასხვა საკვები პროდუქტები გადასცეს სახლის ბენეფიციარებს.

ცივი ზამთარი ყინვის ეტლებს დააჭენებდა ამ სახლის გარშემო, როცა სახლის სასტუმრო დარბაზში და ბინადრების გულში ბავშვებმა სიყვარულის ცეცხლი ააგიზგიზეს. მხიარულმა და ენერგიულმა გოგო-ბიჭებმა ძალიან შემოქმედებითი ქალბატონის, ანა აბზიანიძის, ხელმძღვანელობით შესანიშნავი კონცერტი მოუმზადეს ჩვენს მოხუცებს. ბავშვებმა უცხოური ცეკვები დადგეს, ლამაზი ქართული სიმღერები იმღერეს და მოხუცები გაართეს.

"ყველანი ძალიან გვიყვარხართ, ჩვენო ბებიკოებო და ბაბუკოებო, ეს ჩვენი პირველი სტუმრობაა თქვენთან, შევეცდებით, კვლავ არაერთგზის გესტუმროთ და ბევრი დღე გაგილამაზოთ, ჯანის სიმრთელეს და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!"– მიმართა ანა აბზიანიძემ სახლის ბინადარ მოხუცებს. მოხუცებმა ბავშვები სიყვარულით დალოცეს და არაერთი კომპლიმენტიც უსახსოვრეს მათ.

ნათია ნაცვლიშვილი







# ვიკა მანჯგალაძე Education First -ის გამარჯვებულია

ნათია ნაცვლიშვილი

***მესამე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასელმა ვიკა მანჯგალაძემ, ერთობ პრესტიჟული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ოქსფორდში ერთწლიანი სწავლის უფლება მოიპოვა. რომ არა სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი, ცირა კრავეიშვილი, ამ თავმდაბალი გოგონას წარმატების შესახებ ვერც გავიგებდით. გვინდა, ზურგის ქარი ვუსურვოთ ჩვენს რესპონდენტს, რომელმაც მის ასაკში უკვე ბევრი პლუსი და ქულა მოაგროვა. ვიკა ათოსანი მოსწავლეა, “Education First” _ ძალიან პრესტიჟული გაცვლითი პროგრამაა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ნიჭიერ ახალგაზრდას უცხოეთში სწავლების უფლებას ანიჭებს. უნიჭიერესი და მრავალმხრივი ინტელექტის მქონე ვიკა მანჯგალაძე ახლახან პროგრამის გამარჯვებული გახდა. ინგლისურის მაღალ დონეზე ცოდნამ მას, 23 აპრილს მათემატიკურ ინგლისურენოვან ოლიმპიადაში გამარჯვების საშუალებაც მისცა, 3 ოქტომბერს კი ამცნეს, რომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ოქსფორდში სწავლის უფლება მოიპოვა.***

ვიკა მანჯგალაძე: “ მაინტერესებდა და უბრალოდ, დავგუგლე გაცვლითი პროგრამები, ამ პროგრამით შეგიძლია მოხვდე ნებისმიერ ქვეყანაში. ყველას შეუძლია ამ პროგრამის ვებ-გვერდზე შევიდეს და სხვადასხვა სახის საკმაოდ რთული ტესტები შეავსოს, უმაღლესი ასიდან ავიღე 73 ქულა. ამ მონაცემზე გასამახვილებელია ყურადღება იმიტომ, რომ ბრიტანელი ბავშვების უმეტესობა 70 ქულაზე მეტ შეფასებას ვერ ღებულობს. მოგვიანებით მივიღე ბროშურა ამ პროგრამის საიტიდან. მასში იყო ყველა ინფორმაცია პროგრამის შესახებ, ზუსტად გავიგე, ოქსფორდსა თუ კემბრიჯში რა ახალგაზრდული ბანაკებია, აქვეა დაფინანსების, კვების და სხვა ხარჯების შესახებ ინფორმაციაც. დამენიშნა საკუთარი კოორდინატორი, ვიქტორია კომოცხი, რომელიც დამაკვალიანებდა პროგრამის შესახებ, ამ ქალბატონმა ოთხჯერ დამირეკა პირველად ვესაუბრე 8 წუთი და 31 წამი, ბოლოს მითხრა: ვამაყობთ, შენისთანა მოსწავლეებით, არ არის შეუძლებელი, გაცვლითი პროგრამით მოხვდე ოქსფორდშიო. ამ საუბრიდან რამდენიმე საათის შემდეგ მეილზე მომივიდა ინფორმაცია, რომ ჩემი ეს გაცვლითი პროგრამა სრულიად ფინანსდებოდა. მითხრეს, რომ, როგორც გამარჯვებულს, წასვლა მიწევდა 2020 წლის სექტემბერში, მაგრამ გამგზავრება დროებით გადავდე. ვამჯობინე სკოლის დამთავრება, ატესტატის აღება და შემდეგ წასვლა, ამ შესაძლებლობის გამოყენების უფლებას პროგრამა 2025 წლამდე მანიჭებს, პროექტის წარმომადგენლები ამაზე დამთანხმდნენ.”

ნიჭიერი გოგონას ჰობი წიგნების კითხვაა, როგორც შორიდან შევიტყვე, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში თავადაც ქმნის ნაწარმოებებს, იმედია, ოდესმე მათ დღის სინათლეზე გამოიტანს... ფლობს რამდენიმე ენას და აპირებს მათ გაღრმავებას, განსაკუთრებულ აქცენტს კი ბერძნულ ენაზე აკეთებს, კითხულობს ორიგინალში ბერძნულ ტექსტებს, საბერძნეთში მამიდას და ბერძენ ბიძასთანაც სტუმრობს ზაფხულობით, აპირებს კაპოდისტრიის ეროვნულ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას, რომელიც 1837 წელს არის დაარსებული. ფაკულტეტი ჯერ ვერ შეარჩია, რადგან ორ რადიკალურად განსხვავებულ პროფესიაზე აქვს არჩევანი შეჩერებული: საერთაშორისო სამართალი და გენეტიკა. ორივე თანაბრად აინტერესებს. ასევე ინტერესდება ასტროლოგიით.

“სტუდენტობისთანავე ვაპირებ ამ გაცვლითი პროგრამით ოქსფორდში წასვლას, ეს იქნება ერთწლიანი სტუდენტური პრაქტიკა ოქსფორდის უნივერსიტეტში, ეს არის პრესამაგისტრო პროგრამა, რომელიც ენაში ცოდნის გაღრმავებას ემსახურება. გარდა ამისა, პროგრამის მონაწილეებს გველოდება შემეცნებითი ხასიათის ღონისძიება და ექსკურსიები დიდი ბრიტანეთის მასშტაბით. იმ შემთხვევაში, თუ ჩავაბარებ სპეციალურ გამოცდებს ინგლისურში, შემიძლია ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებშივე, ერთი წლით გავიხანგრძლივო ოქსფორდში ყოფნა. თავიდან ვერ დავიჯერე, რომ სამტრედიელი მოსწავლე ოქსფორდში მოვხვდებოდი, ჩემს გარდა ამდენი ნიჭიერია და მაინდამაინც მე როგორ შემარჩიეს-მეთქი, მაგრამ, საბედნიეროდ, გავიმარჯვე და ცოტა ხნის დაგვიანებით აუცილებლად გავემგზავრები, ჩემთან კავშირს არ წყვეტს ამ პროგრამის წარმომადგენელი ქალბატონი ვიქტორია”. _ გვეუბნება ვიკა.

ამჯერად ის ჩვეულებრივ სასკოლო ცხოვრებით ცხოვრობს, აქვს არაერთ სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვება და წარმატება. როგორც აღვნიშნეთ, გაიმარჯვა ინგლისურენოვანი მათემატიკის ოლიმპიადაში. ამ ონლაინ პროგრამაში ჩართული იყვნენ მოსწავლეები ევროპის ქვეყნებიდან. ვიკა მანჯგალაძე: “გაგებული მქონდა მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის შესახებ და მეც ვცადე ბედი, დავრეგისტრირდი საქართველოს სახელით, რამდენიმე თვის განმავლობაში ონლაინ რეჟიმში მოგვეწოდებოდა ამოსახსნელი მაგალითები და ამოცანები, პროგრამა არასასკოლოა, უმაღლესი მათემატიკაა, სულ იყო 60 შეკითხვა, ოლიმპიადის დღეს, რომელიც წინასწარ განისაზღვრა, ონლაინ რეჟიმში ყველა მონაწილეს (3 000-მდე მონაწილე) გვევალებოდა ამ 60 მაგალითის 2 საათის განმავლობაში ამოხსნა. როდესაც დავასრულე, პროგრამიდან საჰაერო ბურთები ამოფრინდა და მაუწყა, რომ სამოცი ქულიდან სამოცივე ავიღე! სერტიფიკატი გამომიგზავნეს, სამწუხაროდ, ვერ შევძელი წასვლა რუმინეთში, სადაც გაიმართა ფინალური შეხვედრა, იქ ერთმანეთს 7 საუკეთესო შეხვდებოდა (ევროპის წარმომადგენელი მე გახლდით). გამარჯვებულს, პირველ ადგილოსან მექსიკელს ჯილდოდ 30 000 დოლარი მისცეს.”



მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს წარმატებაში დიდი წვლილის შეტანისთვის ჩემი ინგლისურის მასწავლებელს, ცირა კრავეიშვილს რამდენადაც ვიცი, ცირა მასწავლებელი, როგორც წარმატებული პედაგოგი, რამდენიმე წლის წინ იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში. ასევე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი მათემატიკის პედაგოგს, გულივერ მესხს.

ვიკას შესახებ ქალბატონ ცირა კრავეიშვილსაც გავესაუბრეთ: “ვიკა ძალიან ჭკვიანი, მოტივირებული, კარგად აღზრდილი, ნიჭიერი მოსწავლეა, რამდენიმე წელია, ბავშვები დამყავს “რა? სად? როდის?” ინგლისურენოვან კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით გამარჯვებულები დედაქალაქში მიდიან ხოლმე. ეს მასშტაბური კონკურსი ქუთაისში იმართება, ჩვენი სკოლის ორი ჯგუფი მონაწილეობს, ერთ-ერთი გუნდის წევრი და კაპიტანიც ვიკაა. შარშან 26 გუნდს შორის საუკეთესო ხუთეულში გავიდნენ, შარშანწინ კი, მესამე ადგილზე გასასვლელად 1 ქულა დააკლდათ”. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ნიჭიერ მოსწავლეებს და მათ შორის, ვიკას.

# დახეული ჯინსების თაობა ვართ, მაგრამ პატრიოტიზმის მსხვილი ჯაჭვით ნაქსოვი პერანგი გვაცვია

ნათია ნაცვლიშვილი

ერთად ვიმოგზაუროთ 9 საუკუნის წინანდელ საქართველოშიო, წააწერეს მოსაწვევს ნიჭიერმა და ენერგიულმა ბავშვებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა. ღონისძიება კოსტიუმირებული იყო, გაცოცხლდა საქართველოს უდიდესი მეფის, დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მეფობის საინტერესო წლები, ისაუბრეს მეფის მიერ განხორციელებულ სამხედრო თუ საეკლესიო რეფორმებზე, მის მიერ გადახდილ დიდ ბრძოლებზე, დიდგორის სწორუპოვარ გამარჯვებაზე. დიდი ეპოქის მესაჭის უდიდეს როლზე. ძლიერი, ახოვანი, მამაცი, მწიგნობარი, შრომისმოყვარე, გულმოწყალე, ბრძენი და განსწავლული, ძლევამოსილი მხედართმთავარი, გვირგვინოსანი, დავით მეოთხე გიორგი მეორის ძე, რომელმაც 16 წლის ასაკში საომარი მუზარადი დაიმშვენა და მეფე, რომლის ხმალმაც ერთ დღესაც ქარქაში ვერ მოიკითხა. დანგრეულ-გაპარტახებული, მიწისძვრისაგან იავარქმნილი ქვეყანა ჩაიბარა, ისტორიკოსი ამბობს: “მოოხრდა ქვეყანა და იყო ჭირი”, კახეთი ცალკე სამეფოა, თბილისი თურქ-სელჯუკთა ხელშია, საეკლესიო მწიგნობრებს საკურთხეველთან ყელს ჭრიან, აი, ასეთ დროს მოევლინა საქართველოს მეფე, რომელსაც არავინ ჰყავდა ბადალი ჯირითში, შუბის ტყორცნაში, შიმშილის, სიცივის, წყურვილის დაძლევაში. სწორედ მან შეძლო, დაქცეული ქვეყანა ფეხზე წამოეყენებინა და უდიდეს სახელმწიფოდ აქცია, ამიტომაც უბოძა ერმა ზედწოდება _ აღმაშენებელი.



დეტალურად გაიხსენეს ძეგლისწერის თითოეული პუნქტი, შესანიშნავად გააცოცხლეს დავითის ძლევამოსილი მეფობის პერიოდი. მეფის გვირგვინი ლუკა ტუღუშმა მოირგო, ქართულ სამოსში გამოწყობილი წარუძღვა ღონისძიებას კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორი, მარიამ ჯულაყიძე.

შესანიშნავი პრეზენტაცია წარმოადგინეს მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელ მარინა ქართველიშვილთან ერთად. მარინა ქართველიშვილმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა მეფის ღირსეულ აღმზრდელზე, გიორგი ჭყონდიდელზე, დავითის დიდ ნიჭიერებასა და სულგრძელობაზე, მის მიერ შექმნილ უკვდავ ქმნილებაზე “გალობანი სინანულისანი” და ახალგაზრდებს ურჩია, ისტორიას არ შეხედონ, როგორც ფაქტების ჩამონათვალს.” ისწავლეთ ისტორიული მოვლენების ანალიზი, რაც დაგეხმარებათ მომავლის განჭვრეტაში”. _ განაცხადა მან.



“ჩვენ დახეული ჯინსების თაობას გვეძახიან, მაგრამ ჯერ კიდევ გვაცვია ის ჯაჭვის პერანგი, რომელიც პატრიოტიზმის მსხვილი ძაფითაა ნაქსოვი, ამას მოწმობს ისიც, თუ რატომ გვაცვია დღეს ეროვნული სამოსი. აღმაშენებლის იმ მაცოცხლებელი გენის გაგრძელება ვართ, ხმლად და მუზარადად განათლება რომ შეუმოსავს”. _ თქვეს ღონისძიების დასასრულს მისმა წამყვანებმა.



განსაკუთრებული ემოცია მოჰგვარა ამ სიტყვებმა დავით აღმაშენებლის ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორს, ჯონი ნადირაძეს, რომელმაც ახალგაზრდების ეს პატრიოტული შემართება შეაქო და წარმატებები უსურვა.

მოსწავლეები დალოცა დეკანოზმა რომანოზ ნინუამ, მან ხაზი გაუსვა ბაგრატოვანთა დინასტიის უფალთან კავშირს და ბრძანა: “წმინდა გიორგი თეთრ ცხენზე ამხედრებული გამოეცხადა მეომრებს, დავითი კი ამბობდა, დიდი დავით მეფსალმუნის და სოლომონის სისხლი მიჩქეფს ძარღვებშიო. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ”.

“ვიმედოვნებ, ჩვენი თაობა თუ არა, თქვენი თაობა მაინც შეძლებს ქვეყნის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას სიკეთითა და განათლებით!” _მიმართა ახალგაზრდული პარლამენტის წევრებს მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ და წარმატებები უსურვა.

ღონისძიების მონაწილენი დიდი გარჯისა და ძალისხმევის გამო შეაქო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა, რომელიც ამ დარბაზში გამართული ღონისძიებების დიდი მხარდამჭერია. აკადემიურობა შეუქო მოსწავლეებს და დავითის რეფორმებიც შეახსენა “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბეჩავამ. “სამტრედიის მაცნეს” მთავარმა რედაქტორმა ქეთევან ჭელიძემ ასევე შეაფასა ახალგაზრდების შემოქმედება და მათ მიმართა:” ყოველი დღე სიხარულის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის, ნიჭიერო ახალგაზრდებო, დავითის ძლევამოსილებით გევლოთ ამ ქვეყანაზე”.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელმა, ტატა გოგუაძემ ასევე მადლობა გადაუხადა მოსწავლეთა პარლამენტის წევრებს და გამოთქვა იმედი, რომ ეს ბავშვები არაერთხელ გაგვახარებენ მიღწევებითა და წარმატებებით.

# პროექტის გამარჯვებული აზერბაიჯანული შთაბეჭდილებებით

ნათია ნაცვლიშვილი

***არასამთავრობო ორგანიზაცია, დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება "I see you" პროექტ "განავითარე შენი რეგიონის" ფარგლებში ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, საინტერესო პროექტები წარმოადგინონ. ერთ-ერთი პროექტი მიზნად ისახავდა ეკონომიკის განვითარებას რომელიმე თემსა თუ ქალაქში. ახლახან პროექტმა წარმატებული მონაწილე, ლუკა ტუღუში გამოავლინა. ლუკა სკოლა "ცოდნის" მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა, პროექტის გამარჯვებული ახლახან დაბრუნდა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, სადაც პროექტის დასკვნით ნაწილში მიიღო მონაწილეობა. ლუკა "სამტრედიის მაცნეს" ეწვია და შთაბეჭდილებები გაუზიარა:***

"ამ ორგანიზაციის სამტრედიის ხელმძღვანელი გახლავართ ორი-სამი წელია, როცა კონკურსი გამოცხადდა და დაიწყეს მასში მონაწილეობა ახალგაზრდებმა, მაშინვე გადავწყვიტე, წარმომედგინა ჩემი ხედვები პროექტის სახით, 6 დეკემბერს დიდი ღონისძიება მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა, 12-13 ექსპერტი გახლდათ სხვადასხვა სკოლიდან. ჟიურის წარმოადგენდნენ ორგანიზაციის "I see you" ხელმძღვანელები გიგა გლუნჩაძე და ანზორ მეგრელიშვილი. შეხვედრას დაესწრო მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის წარმომადგენელი ირმა ადამია. პრეექტის დღეს ძნელი იყო, ერთდროულად მეფიქრა ჩემს პროექტზეც და ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებაზეც. საბედნიეროდ, ორივე მისიას თავი ჩინებულად გავართვი. ჩემი პროექტი ბოლოს მეც წარვადგინე, რომელიც სამტრედიაში ტურისტული პოტენციალის განვითარებას ეხება, რაც დიდ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე. საბედნიეროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტს საამისო რესურსი ნამდვილად აქვს. ღონისძიების დასასრულს, ჟიურისა და ხალხის ერთობლივი რჩეული ფარული კენჭისყრით გამოვლინდა, მინდა ვახსენო ქალბატონების, გულიკო ცინცაძისა და ელიკო ანკვაბის, უდიდესი მხარდაჭერა პროექტზე მუშაობის დროს. მჯეროდა, რომ ჩემი პროექტი წარუმატებელი არც ერთ შემთხვევაში არ დარჩებოდა, მაგრამ ასევე, პროექტის ხელმძღვანელობის გამოცდილებაც დამიფასეს, პროექტის წარმატებამ ცალკე შექება დაიმსახურა. საბოლოოდ გავიმარჯვე და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ერთი კვირით გამგზავრება დავიმსახურე.







იქ 300-მდე ბავშვი ვიყავით, არ იგრძნობოდა გზაში მოწყენა, დაღლა, ეს იყო ძალიან მხიარული შემეცნებითი და დაუვიწყარი მოგზაურობა ავტობუსით. საზღვარი წარმატებით გადავლახეთ, როცა აზერბაიჯანში ჩავედით, გაგვანაწილეს სასტუმროებში. იმავე საღამოს გაიმართა გახსნის ღონისძიება "კასპიან ბიზნეს სასტუმროში". როგორც "იქს-ფაქტორის" მონაწილემ, ამ ღონისძიებაშიც მივიღე მონაწილეობა, შევასრულე სიმღერა სტივ უანდერის და არიანა გრანდეს რეპერტუარიდან. მეორე დღიდან აქტიურად დავიწყეთ აზერბაიჯანის მონახულება, პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, ეს არის იდეალური წესრიგი და სისუფთავე აზერბაიჯანის ქუჩებში. გავიცანით ქალაქი ბაქო, გარდა იმისა, სიახლეს ვიგებდით ამ ქვეყანაზე, წარვადგენდით ჩვენს ქვეყანას, საღამოს გვქონდა ქართული ცეკვების ფესტივალი და აჭარული ცეკვა შევასრულე თბილისელ და ბათუმელ მეგობრებთან ერთად, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, თან ნახევარ საათში დავდგით. იმავე საღამოს გაიმართა დახურვის ღონისძიება, წარმოვადგინეთ ქართული კერძები, ზოგს წამოღებული ჰქონდა პროდუქტები, ზოგმა უცებ იქვე მოამზადა. მოვიწვიეთ საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში, შთაბეჭდილებებით დატვირთული დავბრუნდი, რთულია ასეთ პროექტში გამარჯვებაზე იფიქრო, მაგრამ ალბათ თავდაუზოგავი შრომა ფასდება, გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი და შევიძინე მეგობრები, ბევრი გავიგე აზერბაიჯანის კულტურისა და ისტორიის შესახებ. ერთი სიტყვით, ეს იყო დაუვიწყარი დღეები ჩემს ცხოვრებაში. თუკი ვინმეს სურს, რაიმეს მიაღწიოს, ვფიქრობ, ბევრი უნდა იშრომოს და აუცილებლად დაუფასდება".

იუბილე

# უდარო დარებთან მებრძოლი



"...პოეტი აქტიურად ეხმიანება ქართული ეროვნული სულის გამოღვიძებას, მყარად დგას ქართული მეობის სადარაჯოზე. იგი მძაფრად განიცდის ერის დროებით სულიერ დაცემას, მაგრამ იმედით შეჰყურებს მომავალს და ებრძვის "უდარო დარებს", შურს, ღალატს, საკუთარ თავსაც, რათა ბავშვური მეამიტობით დიდხანს არ შერჩეს მეცხრე ცას"... ვკითხულობთ ბატონ ილია ლეკვეიშვილის, შემოქმედების ერთ-ერთი შემფასებლის წერილში.

ლექსებს დიდი ხანია წერს, იბეჭდება როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ მედიაში, რამდენიმე ლიტერატურულ კონკურსშიაც გაიმარჯვა და მრავალი ღირსეული თაობაც აღზარდა პროფესიით პედაგოგმა.

ჩვენი გაზეთის მკითხველი ხშირად ეცნობა პოეტ ილია ლეკვეიშვილის ლამაზ, სულში ჩამწვდომ საბავშვო ლექსებს. (და არა მარტო.) პროფესიისა და ცეროდენების სიყვარულმა თავისი გაიტანა და დიდი ხანია, პოეტი საბავშვო ლექსების წერამ გაიტაცა.

ბატონ ილიას სამტრედიაში ყველა იცნობს და მაინც, გადავწყვიტეთ, კიდევ უფრო გასაცნობად, ამონარიდები შემოგთავაზოთ სხვადასხვა დროს დაწერილი მისივე ლექსებიდან:

"არც მქონდა და არცა მაქვს,
არც მექნება ფული,
ჩემი ავლადიდება
ლექსია და გული!..."
"...სანთელი ვარ უბრალო
თუ ფარვანა ერთფერი,
ვიცი, უნდა დავიწვა,
ვიცი, ჩავიფერფლები".
"...მოგვხედე, ქართლის დედაო,
თორემ ხომ ხედავ, მომკლეს,
თავს რას დავეძებ, მამული
ქარში ქანაობს თოკზე..."
"... დღეს კვლავ ღრუბლები ბაზალეთის
თავს წაგვდგომია,
მოდიდებული ცხენისწყალიც
ზღვად გადმოიარს...
ჰეი, ბიჭებო,
ქართლის დედის მანდილს გაფიცებთ,
უპირველესი მამულია,
არ დაგავიწყდეთ!"

"კარგი მეგობარი და კარგი პოეტი _ ასეთია ჩემთვის ილია ლეკვეიშვილი, კეთილი, თავმდაბალი, ადამიანურ სათნოებათა უხვად გამცემი პიროვნება"... წერს ერთგან ილია ლეკვეიშვილის შესახებ სულგანათლებული თემურ ქორიძე. რაკიღა უკეთესს ვერაფერს ვიტყვი, ისღა დაგვრჩენია, 70 წლის იუბილე მივულოცო ჩემს უფროს მეგობარს და წელთა სიმრავლე, შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო.

ლევან გაბეჩავა

თარიღი

# პოლიტიკის რანგში აყვანილი სპორტი

ლევან გაბეჩავა

***დღეს აღარავინ დაობს იმ აბსოლუტური ჭეშმარიტების თაობაზე, რომ ხშირ შემთხვევაში სპორტი თუ ხელოვნება, კინო, თეატრი... საერთოობაში სახალხო დიპლომატია, პოლიტიკის შემადგენელი და მომგებიანი ნაწილია.***

***ასე იყო 30 წლის წინათ, 1990 წლის 15 თებერვალს, როცა საქართველოში ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია _ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაფუძნდა.***

ამ ფაქტს არა მარტო სპორტული, არამედ დიდი ეროვნული, მამულიშვილური მნიშვნელობა ჰქონდა, რამეთუ საქართველო, რომელიც ნელ-ნელა ცდილობდა საბჭოთა იმპერიისაგან თავის დაღწევას და მსოფლიოში დამოუკიდებლად დამკვიდრებას, ყველა ნიუანსი რაღაცის მთქმელი იყო ერისა და ქვეყნის მეტად ცნობადობის თვალსაზრისით. მაშ ასე, 15 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაფუძნდა, ხოლო იმავე წლის 30 მარტს გაიმართა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატის პირველი მატჩი.

ცნობილია, რომ ქართული ფეხბურთის აკვანი ფოთში დაირწა, ამდენად, პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ფაზისელთა გამარჯვება საოცრად სიმბოლური გახლდათ.

ხელთა გვაქვს 1990 წლის 3 აპრილის გაზეთ "ახალგაზრდა ივერიელის" 36-ე ნომერი, სადაც ბატონი გიგლა გობეჩიას მასალაა დაბეჭდილი ბატონი ბადრი ვადაჭკორიას ფოტოებითურთ. ამონარიდი მოგვაქვს წერილიდან.



"...ბევრი რამ პირველად იყო ამ დღეს _ 1990 წლის 30 მარტს, დღეს, რომელსაც ამიერიდან ქართული ფეხბურთის ვერც ერთი მემატიანე გვერდს ვერ აუვლის. იმ დღეს ეროვნული სტადიონის, "თავისუფლების ერთგვარი კუნძულის" ტრიბუნიდან სრულიად საქართველოს პირველად მოსწყდა "დიდების", "შავლეგოსა" და "ჩემო კარგო ქვეყანას" გუგუნი.

პირველად აფრიალდა სამფეროვანი დროშა. პირველად დალოცა თავისი მრევლი უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ (სპორტულ, ესოდენ მასობრივ ღონისძიებაზე), რომელსაც პირველად შეხვდნენ ტაშით.




პირველად მიმართა ასე ამაყად გახარებულმა ზვიად გამსახურდიამ თანამემამულეთ".

ამავე გაზეთის ნომერში გამოქვეყნებულია ანგარიში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის სხვა მატჩების შესახებაც, რომლებიც დღეს, როცა სამაჩაბლო და აფხაზეთი დროებით, რუსეთის მიერაა ოკუპირებული, ყველა ქართველში ნოსტალგიას აღძრავს.

"ქუთაისი" _ ზუგდიდის "ოდიში" _ 2:1,
"ოზურგეთი", ოჩამჩირის "ამირანი", _ 1:0,
სამტრედიის "სანავარდო", ცხინვალის "ლიახვი _ 3:0,
"ბათუმი", რუსთავის "გორდა" _ 1:0,
გალის "მზიური" ხაშურის "ივერია" _ 1:0,
ხობის "კოლხეთი", წყალტუბოს "სამგურალი" _ 3:1,
"გურია _ გორის "დილა" _ 1:0,
თბილისის "შევარდენი" _ სოხუმის "ცხუმი" _ 1:1.

საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის დაფუძნების 30-ე საიუბილეო წელს ვულოცავ სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ, სახეობის _ ფეხბურთის გულშემატკივრებს, ყოფილ, ვეტერან და მოქმედ ფეხბურთელებს, სრულიად საქართველოს. აქვე გამოვთქვამ რწმენას და იმედს, რომ ქართველი ფეხბურთელები არა ერთხელ გაგვახარებენ ლამაზი თამაშით, შორს არც ის დრო უნდა იყოს, როცა ცხინვალის, გალის, ოჩამჩირის... გუნდებთან გავმართავთ შეხვედრებს.

# აღმშენებელი

## რემი ვაშაკიძე _ 85



"აღმშენებელი" მას რკინიგზელებმა შეარქვეს. ისინი კი ის ხალხია, რომლებიც პიროვნების დამსახურებას ჰაიჰარად არ აფასებენ. წარმოთქმულ ყოველ სიტყვას ასჯერ ზომავენ და ერთხელ სჭრიან. ბატონმა რემიმაც მათგან ასეთი შეფასება, მართლაც, ღირსეულად დაიმსახურა, რამეთუ მათსავე წიაღიდან წამოსულს, მათთან საერთო ენის გამონახვა არასოდეს გასჭირვებია.

1959 წელს, თბილისის რკინიგზის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, საქმიანობა თბილისის მეტროში დაიწყო. შემდეგ იყო რკინიგზის სამტრედიის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის სამუშაოთა მწარმოებელი, ამავე დისტანციის ხელმძღვანელი. ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილე და ამავე განყოფილების უფროსი.

პირადი თვისებების გამო მასზე რანგით მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ უსიტყვოდ მორჩილი არასოდეს ყოფილა. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსაც ყოველთვის მისეული პირდაპირობითა და მიუკერძოებლად აფასებდა. ამიტომაც იყო, რომ ბევრჯერ რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობასთან დაპირისპირება მოუხდა.

უსამართლობის პირველი "დარტყმა" მაშინ იგემა, როცა მეორე კურსის სტუდენტი ჩანასახში მყოფ ეროვნულ მოძრაობაში ჩაება და 1956 წელს თბილისში განვითარებულ მოვლენათა ეპიცენტრში მოექცა, რისთვისაც ინსტიტუტიდან გარიცხეს და ერთი წლის შემდეგ აღადგინეს.

მეორედ, როცა რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსმა საქართველოში, რუსეთის "ნამესტნიკის", ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის, გენადი კოლბინის არასწორი დავალების შესრულებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რისთვისაც სამსახურიდან გაათავისუფლეს და სამტრედიაში ერთ-ერთი ახლად შექმნილი საამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნეს, იგი სულ მალე რაიონის მოწინავე ორგანიზაციად აქცია, მაგრამ რკინიგზის განყოფილებას, მისი, როგორც ხელმძღვანელის არყოფნა იმდენად დაეტყო, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, იძულებულნი გახდნენ თანამდებობაზე დაებრუნებინათ.

როცა ბატონ რემიზე, როგორც "აღმშენებელზე" ვსაუბრობთ, მხედველობაში მაქვს ის მშენებლობანი, რომელიც რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მიერ მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა. მათ შორის: ე. წ. ბაძგნარის ტერიტორიაზე რონოდების დამხარისხებელი სადგურ სამტრედია-2-ის მშენებლობა, სადაც ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან დასავლეთ საქართველოში შემოსული ტვირთების დროულად დახარისხებითა და დამისამართებით ტვირთბრუნვა უფრო დაჩქარებული წესით მოხდებოდა. ეს ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად აისახებოდა, რისთვისაც ახალი, 36 სხვადასხვა განშტოების ლიანდაგის დაგება გახდა საჭირო.

პროექტის განხილვას რკინიგზის საკავშირო სამინისტროს მინისტრის პირველი მოადგილე ვლადიმერ ინკო, დარგის ექსპერტები და მაშინდელი ა/კ რკინიგზის ხელმძღვანელობა ესწრებოდნენ. როგორც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მასში მეც ვმონაწილეობდი. კარგად მახსოვს მათი კმაყოფილი სახეები, როცა რემი სამსახურიდან გაათავისუფლეს. მშენებლობა შეჩერდა, რაც მისი სამსახურში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. ბატონი რემის ხელდასმით სამტრედიაში, ახლად გაჭრილ გამარჯვების ქუჩაზე, რკინიგზელთათვის რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი აიგო, იქმნებოდა შთაბეჭდილება, ასეთი ტემპით მშენებლობების გაგრძელების შემთხვევაში საცხოვრებელი ბინებით მათი სრულად დაკმაყოფილების.

აშენდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალი სალოკომოტივო დეპო. ახლადაგებულ შენობებში განთავსდა რკინიგზის ელექტრომომარაგების მე-2 უბანი კავშირგაბმულობისა და სალიანდაგო დისტანციები. რკინიგზის სამტრედიის ვაგზლის ორივე მხარეს გაშენდა ახალი სკვერები. სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ვაგზალს, ქალაქის ცენტრში აშენდა რკინიგზის განყოფილების ოთხსართულიანი ადმინისტრაციული სახლი. წარმოუდგენლად მცირე დროში, 8 თვეში, ექსპლუატაციაში შევიდა 12 ათას მაყურებელზე გათვლილი "ლოკომოტივის" სტადიონი, საცურაო აუზი, რკინიგზელთა კლუბის ძველ ბაზაზე დაიგეგმა კულტურის სახლის მშენებლობა. ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, სამტრედიის მოლოდინი არ გამართლდა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა რკინიგზის საავადმყოფო-პოლიკლინიკას.

სოფელ მელაურში აშენდა მესაქონლეობის უნიკალური კომპლექსი, რომელიც 3000 სულ მსხვილფეხა პირუტყვზე, 5000 სულ ღორზე და 100 000 ფრთა ფრინველზე იყო გათვლილი.

აქვე უპრიანი იქნება, ერთი ამბავი გავიხსენო.

რაისაბჭოს აღმასკომში რკინიგზის განყოფილებიდან წერილი მივიღეთ, რომლითაც ტვირთებისაგან გამოთავისუფლებული რონოდების გასარეცხად საჭირო ნაგებობის ასაგებად ათი ჰექტარი მიწის გამოყოფას ითხოვდნენ. რემი პირადად მესაუბრა და სამტრედიაში ასეთი ობიექტის არსებობის აუცილებლობაში დამარწმუნა. საკითხის დადებითად გადაწყვეტიდან ორ თვეში ვხედავ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სათევზე, სატბორე მეურნეობა გაუშენებიათ, რითაც საკმაოდ გაბრაზებულ-განაწყენებული რემის სამსახურში ვეახლე. "ჩემო ბორია, ჩვენი მთავარი მოვალეობა ხომ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვაა. რა თანამდებობაც უნდა გვქონდეს, ჩვენ ამაზე უკეთესს ვერაფერს გავაკეთებთ. მელაურში კომპლექსის აგებით, იმის წინაპირობა შევქმენი, რომ რკინიგზელებს საქონლის, ღორისა და ფრინველის იაფფასიანი ხორცი მივაწოდო, იქვე იაფფასიანი თევზეულიც ხომ აუცილებელიაო". _ მითხრა. რა მეთქმოდა, გაკეთებულს ხომ არ დავანგრევინებდი. ამით მის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილედ მაქცია.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ის ზოგჯერ მშენებლობის დამთავრებას პროექტის დამთავრებამდე ასწრებდა.

მკითხველის ყურადღებას მივიქცევ, რომ რკინიგზის სამტრედიის განყოფილება ტყიბულის, ქუთაისის, ჭიათურის, მახარაძის, (ოზურგეთის), ბათუმისა და სოხუმის განშტოებებსაც მოიცავდა, სადაც, ისევე როგორც სამტრედიაში, მშენებლობათა ბუმი იდგა.

რემის პიროვნებისაგან შორს იყო სიტყვა "პოლიტიკური მმართველობა." მახსოვს, როცა პარტიის რაიკომის ბიუროს წევრად აირჩიეს, გულწრფელად იკითხა: პარტიის რაიკომში ყოველდღე უნდა გამოვცხადდეო? ბიუროს სხდომებსაც ხშირად არ ესწრებოდა, ბოლოს, როცა მოვიდოდა, უფრო სახალხო დამცველის ამპლუაში გვევლინებოდა.

მისი დიდი ავტორიტეტის გამო ყოველთვის შეეძლო, ქვეყნის პარლამენტის წევრი გამხდარიყო, რისი სურვილიც არასოდეს გასჩენია. ეს ის დროა, როცა ქვეყანაში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა იწყება. ე. წ. "არაფორმალების" საქმიანობა სამტრედიაშიც მყარ ნიადაგს პოულობს, რომელთა მიერ რუსეთისთვის ეკონომიკური ზიანის (?!!) მიყენების მოტივით იყიდება რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალი. ოთხი დღის მანძილზე გზის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ ერევან-მოსკოვისა და ბათუმი-მოსკოვის დანიშნულების სამგზავრო მატარებლებს, რაზედაც სრული პასუხისმგებლობა, რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად, რკინიგზის ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც ეკისრება. ვაღიარებ, რომ ასეთ ვითარებაში ჩვენს შორის რემი უფრო სრულად და ორგანიზებულად წარმოჩნდა. მას თავისი გაწონასწორებული ქმედება წინ სასიკეთოდ დახვდა, როცა 1991 წლის დასაწყისში იგი რესპუბლიკის რკინიგზის დეპარტამენტის უფროსად დანიშნეს. ამით, როგორც დარგის გამორჩეულ ხელმძღვანელს, საკუთარი ორგანიზატორული ნიჭისა და უნარის ფართო ასპარეზი მიეცა. რაც, იმ დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, სრულიად გამოირიცხა.

მდგომარეობა უფრო დაძაბა ქვეყანაში წარმოებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ, კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობამ და ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის უგუნურებით აფხაზეთში წარმოებულმა შიდა დაპირისპირებამ. ჩვენი წერილის ადრესატიც იძულებულია, აფხაზეთიდან ქვეყნისთვის სასიცოცხლო ტვირთების შეუფერხებლად მოსაწოდებლად, დატაცებისაგან მათი დაცვის მიზნით, დივერსიული გზით მწყობრიდან გამოყვანილი ენგურისა და ტამიშის სარკინიგზო ხიდების დროულად აღდგენაზე გადაერთოს, რასაც იმდენად მოკლე დროში ახერხებს, რომ შევარდნაძე მადლობას არ იშურებს. როცა იმავე შევარდნაძემ ამ მიზნით აფხაზეთში საჯარისო ნაწილების, ტანკებისა და არტილერიის შეყვანა გადაწყვიტა, ბატონი რემი, საკითხის უმტკივნეულოდ მოსაგვარებლად, ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან მის დაქვემდებარებაში მყოფი რკინიგზის დაცვის სამსახურისათვის დამატებით ოცი ერთეული ავტომატის გამოყოფას ითხოვს და ტვირთების დაცვაზე პირად პასუხისმგებლობასაც იღებს, ეს არავინ გააკეთა და მივიღეთ ის, რომლის შედეგსაც ახლა ვიმკით.

როცა აფხაზეთში საომარი მოქმედება შეწყდა და დარგის განვითარების იმედი გაჩნდა, რემის უკვე ქვეყნის პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მსტოვარ-ნათესავები ესტუმრნენ და რკინიგზის საქმიანობაში მათ მიერ შექმნილი სხვადასხვა უწყებათა ჩართვა და ტვირთების გადაზიდვის მათეული ტარიფები შესთავაზეს. საერთო მოქმედებაში მისი წილიც გათვალისწინებული იყო, რაზედაც რემი არ დასთანხმდა და დაუპატიჟებელი სტუმრებიც უარით გაისტუმრა. ეს საბოლოოდ მისადმი შევარდნაძის დამოკიდებულებაში მკვეთრად აისახა.

1995 წელს, თბილისში გამართულ აქტივის შეკრებაზე, შევარდნაძემ რკინიგზის დეპარტამენტის საქმიანობა უარყოფითად შეაფასა, რაზედაც რემიმ იმავე ტრიბუნიდან მწვავედ უპასუხა. "ბატონო ედუარდ, თქვენეული სტილითა და მართვის მეთოდებით მარტო რკინიგზას კი არა, საქართველოსაც დაღუპავთო".

"თავხედობა" ძვირად დაუჯდა. შეკრებიდან სამსახურში მიმავალი გზაში შეაჩერეს და ხელბორკილი დაადეს. ბრალდებებიც საკმაოდ შეუთითხნეს და თორმეტი წლით თავისუფლებაც აღუკვეთეს.

ესეც არ იკმარეს, ციხეში "ნასედკა" მიუჩინეს, რომელიც მისგან, სრული თავისუფლების სანაცვლოდ, იმის აღიარებას ითხოვდა, თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში საიდუმლოდ შეკრებილთ ქვეყნის უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე, ცეკას ყოფილი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი და მხედრიონის "შეფი" ჯაბა იოსელიანი, როგორ გეგმავდნენ ქვეყანაში ხელისუფლების დამხობას. როგორც თავად ამბობს, ამით მისგან სულისა და კაცობის გაყიდვას ითხოვდნენ, რასაც სასიკვდილო განაჩენი რომ გამოეტანათ, მაინც არ დავთანხმდებოდიო.

როგორც მშენებელმა, არც ციხეში მოისვენა. ციხის საავადმყოფოში მცირე მოცულობის ეკლესია ააგო და პატიმრები მართლმადიდებლობასა და ქრისტეს მცნებებს აზიარა.

სანთელ-საკმეველმა და მის მიერ ნაკეთებმა სიკეთემ თავისი სიტყვა მაინც თქვა, როცა კეთილი ადამიანების თანადგომით ციხიდან ოთხი წლის შემდეგ განთავისუფლდა.

დღეს, 85 წლის ბატონი რემი თბილისში ცხოვრობს. სტუმრებს მის მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით, სუფთა გულით და მის მიერ დაწურული ღვინით მასპინძლობს. ღრმად მორწმუნეს, ერთხელ სამეგობრო წრეში უადგილო კითხვა დაუსვეს: ღმერთმა ციხისგან რატომ არ დაგიფარაო. კითხვაზე ადრესატი პასუხის გასაცემად წამითაც არ დაფიქრებულა: "პირიქით, ღმერთმა ჩემს ირგვლივ შექმნილ სიტუაციას განმარიდა და სიცოცხლე შემინარჩუნა".

ცნობილი ჟურნალისტი, ქალბატონი მაყვალა ბერიანიძე, ერთ-ერთ თავის წერილში ბატონი რემის რკინიგზის დეპარტამენტის ლეგენდარულ მმართველად მოიხსენიებს, რაზედაც სრულად ვეთანხმები. მკითხველმა თავად განსაჯოს.

**ბორის ფოცხვერაშვილი**

---

**ბატონ რემი ვაშაკიძეს!**

ჩემს უფროს მეგობარს, სახელოვან კაცს, ქვეყნისა და ოჯახის მოჭირნახულეს პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებას!

**გია მიქელაძე**
**სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი**

**ბატონ რემი ვაშაკიძეს!**

დაბადების საიუბილეო თარიღს, 85 წლის შესრულებას ულოცავს ამაგდარ ადამიანს, ბატონ რემი ვაშაკიძეს, უსურვებს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს თავისი ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო**

**რემი ვაშაკიძეს!**

პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ თქვენს დიდ ოჯახთან ერთად!

**"სამტრედიის მაცნე"**

**ბატონ რემი ვაშაკიძეს!**

ღვაწლმოსილ რკინიგზელს, მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელს, დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, დაუღალავ მშრომელს, პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღის საიუბილეო თარიღს _ 85 წლის შესრულებას. კიდევ მრავალი წელი იხარეთ და იდღეგრძელეთ თქვენს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად!

**ზურაბ გოგოხია**
**საქართველოს რკინიგზის დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს კოლექტივის სახელით**

ღირსეულ მამულიშვილს, უძლიერეს პიროვნებას, უბრალოდ, კეთილშობილ ადამიანს, ბატონ **რემი ვაშაკიძეს**, ვულოცავ იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

**თამაზ ჟორდანია ოჯახით**

**რემი ვაშაკიძეს!**

ერთ-ერთ გამორჩეულ ღირსეულ სამტრედიელს, შესანიშნავ და ნაღდ ქართველს, თავისი საქმის პროფესიონალს, სამტრედიის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მებრძოლს, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს!

უფალმა დაგიცვათ, გაგაძლიეროთ თქვენს დიდებულ შვილებთან, შვილიშვილებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად!

**დიდი სიყვარულით მზევინარ ბოჩუა და რამიზო ფანცულაია**

სამტრედიის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირის წევრები, დაბადების 85 წლის შესრულებას ვულოცავთ ღვაწლმოსილ შრომის ვეტერანს,

ბატონ **რემი ვაშაკიძეს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირის**
**თავმჯდომარე ა. ხაჭალია, მოადგილე ა. კაშია**

**ბატონ რემი ვაშაკიძეს!**

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, იდღეგრძელეთ თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად.
გფარავდეთ უფალი!

**საზოგადოება "სამტრედიელი"**

---

დაბადების დღეს ვულოცავთ დიდებულ ადამიანს, ჭეშმარიტ ქართველს, რემი ვაშაკიძეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს.

უფალმა ხანგრძლივი და სიხრულით სავსე ცხოვრების წლები მიანიჭოს მას!

**ბორის ფოცხვერაშვილი, ნათელა გელეიშვილი, რაულ ხუჭუა, გიზო ვეკუა, შალვა მგალობლიშვილი, სოსო დუნდუა, ზურაბ ხაჭალია, თამაზ მურღულაია, თამაზ ჟორდანია, ბეჟან გოგია, გულნარა კალანდაძე, გივი ღაღანიძე, მოგელი კუპრეიშვილი, ოთარ სტურუა, მერაბ სტურუა, თემურ ტორონჯაძე, აპოლონ ხაჭალია და სხვები**

# ლიტერატურულ სარბიელზე მდგარი ქალბატონის მოგონებები



ცნობილი ქართველი მწერლის მარიამ გარიყულის, მოგონებათა "სკივრი" ისევ გავხსენი და ბევრ საყურადღებო მოგონებას ვეზიარე. ის, ძირითადად, ადამიანთა იმ წრეს ეხება, სადაც თავად ტრიალებდა, მეგობრობდა, მოღვაწეობდა. მწერალი უბრალოდ და წრფელად გადმოსცემს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მის გარდაცვალებამდე პერიოდს. ძალზე დამაინტერესა ლიტერატურულ სარბიელზე მოღვაწე ქალთა საქმიანობამ და ურთიერთობებმა, სადაც ჩვენი თანამემამულე ქალბატონების, დარია ქაჯაია-ახვლედიანისა და კატო მიქელაძის სახელებიც მოიხსენიება.

**ახლა, როცა ჩვენი მშობლიური ქალაქის 150 წლისთავის აღსანიშნავად ვემზადებით, საჭიროდ მიმაჩნია, საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ყურადღება მივაპყრო ღირსეულ თანამემამულეებზე, მათ ღვაწლზე, სამტრედია ხომ სახელოვან მამულიშვილთა სავანეა!**

***ნათელა გელეიშვილი***

### აკაკი წერეთლის სტუმრობა კატო მიქელაძესთან

1926 წელს მწერალმა ქალებმა გამოსცეს ლიტერატურული "ალმანახი". პირველი ნომრისთვის მივეცი ესკიზი, მიძღვნილი კახეთისადმი.

ეს "ალმანახი", ცქვიტის (ანა ხუტაშვილის) რედაქტორობით გამოდიოდა. მწერალი ქალები პოეტ დარია ახვლედიანთან იყრიდნენ თავს, კრებებს ესწრებოდნენ ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშაძე, კეკე მესხი, მარიჯანი, ამიანი, ლიდა მეგრელიძე (მიმქრალი), საფო მგალობლიშვილი, კატო მიქელაძე, ნინო თარიშვილი, ბაბილინა, ანიკო ღვინიაშვილი და სხვები.

კატო მიქელაძეს არ აკმაყოფილებდა "ალმანახი" იმ სახით, როგორც ჩვენ ვცემდით და განზე გადგა, თუმცა "ალმანახი" მეორე ნომრის შემდეგ აღარ გამოსულა, მაგრამ დიდხანს არ გაუვლია და ჟურნალი "მშრომელი ქალი" გამოვიდა. იმ ჟურნალმა დიდხანს იარსება.

მე და კატო მიქელაძე ოჯახურ გარემოებაში ხშირად ვიყავით ბაბილინასთან.

ბაბილინას მეუღლე, ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი) და კატო მიქელაძე ხშირად იგონებდნენ მათი პარიზში ცხოვრების დროიდან სხვადასხვა ამბებს. სხვათა შორის, კატომ ერთხელ გვიამბო, თუ როგორ მივიდა მასთან აკაკი წერეთელი. ეს იყო მას შემდეგ, როდესაც აკაკის მისმა მადლიერმა ერმა იუბილე გადაუხადა.

კატოს გააგებინეს, შენთან ვიღაც თეთრწვერა მოხუცი მოდის და უჭირს კიბეზე ამოსვლაო. კატო მაშინვე მიხვდა, ვინც იქნებოდა ის თეთრწვერა მოხუცი. კატოს დაუვლია ხელი სკამისთვის და ძირს ჩამოურბენია, სკამი დაუდგამს, აკაკი ზედ დაუსვამს, შეუსვენებია და ასე სვენებ-სვენებით მეექვსე სართულზე აუყვანია. კატოს სტუმარს, მადამ დე-სენვიქტორს, კომუნის მომსწრეს, აკაკი რომ დაუნახავს, კარებში შემოსულა, უთქვამს: _ "ღმერთო ჩემო! რა მშვენიერი კაციაო". როდესაც აკაკი წასულა, სტუმარ ქალს უკითხავს:

_ "ვინ იყო ეს ღმერთკაციო".

კატოს უპასუხნია: "ეს, ჩვენი, ქართველების პოეტიაო". _ "კიდევაც, მხოლოდ პოეტს უნდა ჰქონდეს ასეთი ღვთიური სახეო."

კატო ამ სიტყვებს ფრანგულად იტყოდა და სახეზე ნათელი ეფინებოდა.

### უჭირისუფლოდ გადასული მწერალი და მოაზროვნე

...გორიდან გადმოსვლის პერიოდში სანამ ბინას ვიშოვიდი, მწერალმა კატო მიქელაძემ შემიკედლა. კატო მეტად გულკეთილი, უმწიკვლო და გულისხმიერი ადამიანი იყო.

ჩვენ, საწინააღმდეგო ხასიათების მიუხედავად, ბევრი რამ გვქონდა საერთო, რაც ასე გვაახლოვებდა ერთმანეთთან. პირველ რიგში, ეს საერთო ჩვენი ლიტერატურული შეხედულებები და ქართული მწერლობის ბედით დაინტერესება იყო, რაც ჩვენი მეგობრობის სულიერ მხარეს შეადგენდა. მე თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ კატო მიქელაძემ იმ პერიოდში ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ქართულ მწერლობაში დიდად არ მოეკიდა ფეხი განსაკუთრებით მეოცე საუკუნის პირველი პერიოდის ლიტერატურისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა უცხოურ "იზმებს". თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ბრძოლაში პირადად ბევრი ვნებაც მიადგა მას. ალბათ, ეს იყო იმის მიზეზი, რომ ლიტერატურულ წრეებს თანდათან განზე გაუდგა და ისეთი პოეტი, რომელიც არა მარტო შესანიშნავ ორიგინალურ ლექსებს ქმნიდა, არამედ პოეტურად გრძნობდა უცხო ლექსსაც და ისე თარგმნიდა სიული პრუდომს:

"ო, რომ იცოდე, თუ რა ტკივილით
ჩემს გულს ობლობამ ხელი შეახო,
იქნება მაშინ თქვენ გაივლიდით,
სადაც მე ვცხოვრობ, ამ სახლის ახლოს.
ო, რომ იცოდეთ, ნათელი სახე
თქვენი გულს ხვდება რა საიმედოდ,
იქნება მაშინ თქვენ წამიერად
ჩემს ფანჯარაში შემოიხედოთ.
თქვენ რომ იცოდეთ, გულში ვით ჰქრება
თქვენს დანახვაზე ნაღველი მწარი,
ჩემს კართან დაჯდეთ, ვით მეგობარი.
როგორ მიყვარხართ, თქვენ რომ იცოდეთ
და უთქვენობით, როგორ ვარ ავად,
მაშინ სირცხვილით თუნდაც იწვოდეთ,
შემოივლიდით ჩემს სანახავად."

ბოლოს მართლაც ობლობით გულზე ტკივილით ხელშეხებული დარჩა და 1942 წლის მკაცრ ზამთარში, იანვრის ოთხს, ვაკის სასაფლაოზე მივაცილეთ მე, გულისხმიერმა ახალგაზრდა პოეტმა ანდრო თევზაძემ და დონბასიდან იმჟამად ევაკუირებულმა, ეხლა კი უკვე თბილისში დამკვიდრებულმა შესანიშნავმა მოქალაქეებმა, ცოლ-ქმარმა ირინე და ნიკოლო იუშკოვებმა, რომლებიც დიდხანიდან მეგობრობდნენ განსვენებულს. მართლაცდა მარტო ჩემი და ამ ორი კეთილშობილი ადამიანის ცრემლი თუ ერგო უჭირუსუფლოდ გადასულ მწერალს და მოაზროვნეს.

***მარიამ გარიყული***

# ქართული კვირა დღე სტამბულში

სამშობლოდან შორს მყოფები ყოველთვის ვერა, მაგრამ როცა ამის შესაძლებლობა გვაქვს, არ ვტოვებთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს. სტამბულში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ და ქართული კულტურის ცენტრმა მიგვიწვია ემიგრანტები ცნობილი ქართველი პოეტის, ქართული ეროვნული ჰიმნის ტექსტის ავტორის, ბატონ დათო მაღრაძის, წიგნის, "უსადაუროს" პრეზენტაციაზე. წიგნი, თურქულ ენაზე თურქეთელმა ქართველმა ეშრეფ ილმაზმა (გოდერძი მახარაძე) თარგმნა. საღამო ორი სახელმწიფოს ჰიმნით დაიწყო. პრეზენტაციას ესწრებოდნენ თურქი პოეტები, გამომცემლები, მთარგმნელები, ხელოვნების სხვადასხვა წარმომადგენლები და ემიგრანტები. პოეტის ლექსები თურქმა მსახიობმა წაიკითხა. პრეზენტაცია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. სტუმრებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავტორთან შეხვედრა დიდი პატივი იყო. მე, პირადად მოხარული ვარ, რომ ასეთი საინტერესო და ნიჭიერი პოეტის შემოქმედებას გავეცანი. ძალიან მომწონს მისი სტილი, აზროვნება, მეტაფორები. ყველა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა. სტამბულში საქართველოს ელჩმა, გია ჯანჯღავამ, დათო მაღრაძეს სპეციალური მოკითხვა და მილოცვა გადასცა თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრისაგან. მადლობა, "ქართული დედაენის საზოგადოებას" ასეთი ლამაზი და შთამბეჭდავი საღამოს ორგანიზებისათვის. ამ კვირაში შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრში თურქულ ენაზე თარგმნილი ქართული ფილმი "მევლუდი" გავიდა. ბევრი ლამაზი ღონისძიება კეთდება და ტარდება, რომლებსაც, ჩვენი დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ვერ ვესწრებით. ძალ-ღონეს არ იშურებენ ამ ცენტრის წარმომადგენლები, რათა ემიგრანტებს გვაჩუქონ ლამაზი და დაუვიწყარი საღამოები, სადაც ერთმანეთის სითბო და სიყვარული გვათბობს.

**ნატალია ეგრისელი**





# "აისი" _ დახმარებისა და თანადგომის ქართული ასოციაცია თურქეთში

მოგესალმებით, ძვირფასო მკითხველებო, მადლობა იმისათვის, რომ ყურადღებით ეცნობით ემიგრანტის ყოფა-ცხოვრებას. სტამბულში არის დაარსებული "აისი" _ დახმარებისა და თანადგომის ქართული ასოციაცია. კვირას დაიგეგმა მორიგი ღია სემინარი თემაზე "როგორ გავუმკლავდეთ ნოსტალგიას". ემიგრანტები გაწევრიანებულები ვართ ამ ასოციაციაში. სემინარი წაიყვანა ექიმმა ფსიქოთერაპევტმა მელანია თურქმენმა. მსვლელობის დროს იყო კითხვა-პასუხები და აზრთა გაზიარება. ეს დღე და სემინარი მიეძღვნა ორ ქართველ ბენეფიციარს, რომლებიც მკურნალობას გადიან თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში ჰემატოლოგიის განყოფილებაში. ქალბატონები ცისანა და მაცაცო, მიუხედავად ყველაფრისა, არიან ძალიან პოზიტიურები, ბრძოლისუნარიანები და არ კარგავენ იმედს, რომ გაიმარჯვებენ და დაუბრუნდებიან ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმს. ეს ყოველივე სამაგალითოა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ებრძვიან სიმსივნეს. სემინარის მსვლელობის დროს შემოგვიერთდა ქალბატონი, რომელიც გაგვაცნეს, რომ არის ანა ჯაბაური, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილის, ცოტნეს მეუღლე. ანამ გვითხრა, რომ ცოტნეს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ძალიან კარგ კლინიკაშია, მას მკურნალობა და ყურადღება არ აკლია. ქალბატონი ანა თავდაუზოგავად იბრძვის მეუღლის სიცოცხლისათვის. ეს სიყვარული და გონებრივი კავშირი გადაარჩენს მას.

**ნატალია ეგრისელი**

# ჭეშმარიტი სამტრედიელი და შემოქმედი

წარსულის ფურცლები ღირსეული სამტრედიელების სახელებითაა დამშვენებული. ერთ-ერთი მათგანი ბატონი დომენტი გოგიტიძეა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე, გულისხმიერი მეუღლე, მამა და ბაბუა, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, საქართველოს ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქტორ-ორგანიზატორი.

ჩვენი პირველი შეხვედრა საჯავახოს საშუალო სკოლაში შემოდგომის ზეიმზე შედგა, როცა სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად გაზეთ "წინსვლის" რედაქციის სახელით გვეწვია და თავისი შთაბეჭდილებები ამ ზეიმის შესახებ გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა.

იგი გამოირჩეოდა თავისი ინდივიდუალობით, პასუხისმგებლობით, ზოგჯერ შეუვალობით და სუბიექტური დამოკიდებულებებითაც, რასაც თავის პუბლიკაციებში დაუფარავად გამოხატავდა. მკითხველთა ინტერესს იწვევდა მისი ნოველები, ჩანახატები და ლექსები.

მახსოვს ამავე სკოლაში ცნობილ ფოტოკორესპონდენტ ათაბეგოვთან ერთად მისი სტუმრობა. მაშინ საჯავახოს საშუალო სკოლა რაიონისა და რესპუბლიკის მასშტაბით ერთ-ერთი წარმატებული გახლდათ. ფოტოკორესპონდენტმა მოწინავე მოსწავლეებს მდინარე რიონის პირას, რომელიც სკოლის ეზოს ესაზღვრება რამდენიმე სურათი გადაუღო, მერე კი სურათის გადაღება მე შემომთავაზა, მომერიდა, მაგრამ სტუმარ-მასპინძლებმა უარის თქმის საშუალება არ მომცეს. რამდენიმე წლის შემდეგ რაიონული გაზეთის ფურცლებზე ვიხილე ეს ფოტოსურათი, ბატონ დომენტი გოგიტიძის წრფელი და ორიგინალური ტექსტით.



ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის წლებში საქმიანი ურთიერთობა მქონდა გაზეთ "წინსვლის" (რედაქტორები: ვაჟა ნიკოლეიშვილი, ანზორ გრიგოლია) და ზოგადად, რაიონში მოღვაწე ჟურნალისტებთან. ისინი გამორჩეული იყვნენ განათლებით, კულტურით, პასუხისმგებლობით, რაიონის ცხოვრების შუაგულში იდგნენ, აცოცხლებდნენ წარსულს და რეალურ სინამდვილეს ასახავდნენ. ბატონი დომენტი, როგორც მისი კოლეგები, ყოველთვის სარგებლობდა რაიონის ხელმძღვანელობის და საზოგადოების პატივისცემით.

ის 1989 წელს გარდაიცვალა. ბუნებრივია, ოჯახის მწუხარება გავიზიარეთ და ეზოში მოვიყარეთ თავი. პატარა ბიჭი, მისი მეოთხეკლასელი შვილიშვილი ბაჩანა ეზოში ჩამოვიდა, მოგვიახლოვდა, უფროსებს მოკრძალებით ყურადღებისათვის მადლობა გადაგვიხადა და თავი განსაკუთრებული თავაზიანობით დაგვამახსოვრა. ის უმამოდ გაიზარდა. მას დედასთან და ბებიასთან, ღვაწლმოსილ პედაგოგ ლილი კაჭარავასთან ერთად მზრუნველობდა ბაბუა, რომელმაც შეიძლება ითქვას, მის აღზრდაში გულის ნაწილი ჩადო.

მიხარია, რომ ბაჩანა ჩაბრაძე დღეს სახელოვან მამულიშვილთა რიგებშია, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით, პოეზიისა და ჭადრაკის სიყვარულით, ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში მისი ორი პოეტური კრებული გამოიცა. დედამ, ნიჭიერმა და წარმატებულმა პედაგოგმა გულიკო გოგიტიძემ დაბადებამდე დაობლებული შვილის აღსაზრდელად ყველაფერი გაიღო. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრ ბაჩანა ჩაბრაძეს ჰყავს ოჯახი, ორი შვილის მამაა და 2 ათეული წელია საფრანგეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს, აღიარებული პოეტია და მთარგმნელი, საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში. მან გააცოცხლა შემოქმედი ბაბუის ღვაწლი და მალე გამოსცემს ბატონი დომენტის საბავშვო ლექსების კრებულს.

ამ დღეებში ბატონ დომენტი გოგიტიძეს 94 წელი შეუსრულდებოდა. გზა დავულოცოთ ჭეშმარიტი სამტრედიელისა და შემოქმედის ნაღვაწს.

**ნათელა გელეიშვილი**



# სამტრედიელი გოგონა მოსკოვში, აჭარულის ცეკვის დროს გარდაიცვალა

20 წლის გოგონა თავის დაბადების დღეზე, მოსკოვში, აჭარულის ცეკვის დროს გარდაიცვალა. მომხდარის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ავრცელებს.

"ანა ენგიბარიანს საშინელმა ბედისწერამ მოსკოვში საკუთარ დაბადების დღეზე აჭარულის ცეკვისას მოუსწრო. ამ შემზარავმა და დაუჯერებელმა ფაქტმა შავებით შემოსა გარი ენგიბარიანის ლამაზი, სამშვილიანი ოჯახი. წარმოშობით სამტრედიელი გოგონა ასე მძიმედ დაემშვიდობა მოსკოვს, სადაც ბავშვობა გაატარა და ახლა მშობლიური სამტრედია ჩაიხუტებს მის ცხედარს". _ წერს ის.

გარდაცვალების მიზეზი უცნობია, ახლობლების თქმით, გოგონა სიცოცხლეში არაფერს უჩიოდა. ანა ენგიბარიანი წარმოშობით სამტრედიელია. მისი ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში, დაახლოებით, 15 წლის წინ გადავიდა. ენგიბარიანები მშობლიურ სამტრედიას ხშირად სტუმრობდნენ. გარდაცვლილი გოგონა საქართველოში ჩამოასვენეს.

**ნინო ნანიტაშვილი**

დიდი ჯიხაიშის №1 საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

**ზურაბ დიდიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლევან გაბეჩავა და მურად გელეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის

**ზურაბ დიდიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნათელა გელეიშვილი ოჯახით დიდ გულისტკივილს გამოთქვამს დღეგრძელი ქალბატონის, პედაგოგის, ადამიანური ღირსებებით გამორჩეული სამტრედიელის

**ტატიანა (ქინცო) ჭანჭალეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი "სამტრედიის მაცნე" თანაგრძნობას უცხადებს ცინცაძეების ოჯახს ქალბატონი

**ტატიანა (ქინცო) ჭანჭალეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

# ალბერტ აინშტაინის საიდუმლო წერილი ღმერთზე

***"როდესაც მე ფარდობითობის თეორია შევთავაზე, ძალიან ცოტას ესმოდა ჩემი, და იმასაც, რასაც მე ახლა გავიმხელ კაცობრიობისთვის გადასაცემად, ასევე გადააწყდება გაუგებრობას და მსოფლიოში გამეფებულ ცრურწმენებს."***

მე გთხოვთ, შეინახოთ ეს წერილი იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება _ წლები, ათეული წლები, სანამ საზოგადოება არ განვითარდება საკმარისად იმისთვის, რომ მიიღოს ის, რასაც ქვემოთ აგიხსნი.

არსებობს ძალიან ძლიერი ძალა, რომელსაც მეცნიერებამ აქამდე ვერ მოუძებნა ახსნა. ეს ძალა მოიცავს და განაგებს სხვა დანარჩენ მოვლენებს, რომლებიც სამყაროში მოქმედებენ. ეს არის ყოვლისმომცველი ძალა-სიყვარული.

როდესაც მეცნიერები სამყაროს ერთიანობის თეორიას ეძებდნენ, მათ დაავიწყდათ ყველაზე ძლიერი და უხილავი ძალა. სიყვარული არის სინათლე, რომელიც ანათებს მას, ვინც გასცემს და უკანვე იღებს მას. სიყვარული _ ეს არის მიზიდულობა, რადგან ის აიძულებს ადამიანებს იგრძნონ სხვა ადამიანებისკენ ლტოლვა. სიყვარული _ ეს არის ძალა, რადგან ის ამრავლებს ყველაფერს საუკეთესოს, რაც ჩვენშია. რაც ჩვენ ვართ, და ნებას აძლევს ადამიანებს, არ ჩაიძირონ ბრმა ეგოიზმში. სიყვარულისთვის ვცხოვრობთ და ვკვდებით. სიყვარული არის ღმერთი და ღმერთი არის სიყვარული. ის ცვალებადია, რადგან ზედმეტად დიდხანს ვახდენდით მის იგნორირებას, იქნებ იმიტომ, რომ ჩვენ გვეშინია სიყვარულის.

სიყვარულის გასაგებად მე ჩემს ცნობილ განტოლებაში მარტივი ცვლილება გავაკეთე. თუ ნაცვლად E=mc2, ჩვენ ვაღიარებთ, რომ მსოფლიოს სამკურნალოდ საჭირო ენერგია მიიღწევა სიყვარულის გამრავლებით სინათლის სიჩქარეზე კვადრატში, მივალთ დასკვნამდე, რომ სიყვარული უძლიერესი ძალაა, რადგან არ გააჩნია საზღვრები.

მხოლოდ სიყვარულით შეგვიძლია ვიპოვოთ ცხოვრების აზრი, შევინარჩუნოთ მსოფლიო და ყოველი მოაზროვნე, ან მგრძნობიარე არსება. დავეხმაროთ ჩვენს ცივილიზაციას გადარჩენაში. შესაძლებელია, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ მზად, რომ შევქმნათ "სიყვარულის ბომბი" _ საკმაოდ ძლიერი მოწყობილობა, რათა ბოლომდე გავანადგუროთ ზიზღი, ეგოიზმი, სიხარბე, ყველაფერი, რაც პლანეტას აცარიელებს. თუმცა ყოველი ცალკეული ინდივიდი თავის თავში პატარა, მაგრამ ძლიერი სიყვარულის გენერატორს ატარებს, რომლის ენერგია საკუთარ გათავისუფლებას ელოდება. როცა ჩვენ ვსწავლობთ ამ ენერგიის გაცემას და მიღებას, ძვირფასო ლისერლ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სიყვარული ყველაფერს ამარცხებს და ყველაფრის დაძლევა შეუძლია, რადგან სიყვარულისიცოცხლის კვინტესენცია.



ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი გამომეხატა ის, რაც ახლა ჩემს გულშია, რომელიც ჩუმად ფეთქავს მთელი ცხოვრება შენთვის. იქნება, ძალიან გვიანაა, რომ პატიება გთხოვო, მაგრამ დრო _ ფარდობითია. მე უნდა გითხრა, რომ მიყვარხარ და მადლობელი ვარ, რომ შენი წყალობით მივიღე საბოლოო პასუხი!

შენი მამა, ალბერტ აინშტეინი"

# საინტერესო სამეცნიერო ფაქტები

სკოლაში ვეცნობით მეცნიერების ბევრ საინტერესო და განმაცვიფრებელ მხარეს, იქნებ ეს ელემენტების პერიოდული სისტემა, დნმ-ის გაორმაგება, აინშტაინის ფარდობითობის თეორია თუ სხვა, სკოლაში მიღებული ცოდნა გვიქმნის ერთგვარ საძირკველს, რაზე დაყრდნობითაც ვაგრძელებთ სწავლას და მოღვაწეობას განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე.

ქვემოთ მოყვანილია გასაოცარი სამეცნიერო ფაქტები კი ჩვენთვის სკოლაში არასდროს უსწავლებიათ, არადა, კარგი იქნებოდა, ესწავლებინათ.



### წყალი შეიძლება ერთდროულად დუღდეს და იყინებოდეს

ამ მოვლენას ეწოდება წყლის "სამმაგი წერტილი". _ ამ დროს წნევა და ტემპერატურა ისე ემთხვევა ერთმანეთს, რომ ის შესაძლებელს ხდის სამი სხვადასხვა აგრეგატული მდგომარეობის (აირი, სითხე და მყარი ნივთიერება) ერთდროულად არსებობას.



### გატეხილი კვერცხი წყალში უცნაური მედუზასავით მოძრაობს

სამზარეულოში გატეხილმა კვერცხმა შეიძლება ნერვები მოგვიშალოს და გაგვაბრაზოს, თუმცა ეს პრობლემა მარტივი გადასაჭრელია. როდესაც კვერცხის შეწვა მოგვინდება მხოლოდ და მხოლოდ ისაა საჭირო, რომ ჩავიდეთ წყლის ქვეშ 18 მეტრის სიღრმეზე, სადაც ხმელეთთან შედარებით კვერცხზე 2,8-ჯერ მეტი ატმოსფერული წნევა მოქმედებს. ამის გამო გატეხილ კვერცხს ცილა გარსივით შემოეკვრება და ის ფორმას არ დაკარგავს.

### როგორ დავინახოთ სათვალის გარეშე



თუკი სათვალე სახლში დაგრჩათ, შეგიძლიათ მუშტი ისე შეკრათ, რომ მასში პატარა ჭუჭრუტანა დატოვოთ, მუშტი თვალთან ახლოს მიიტანოთ და მასში გაიხედოთ. ეს დაგეხმარებათ თვალის ბადურისკენ მიმართული სინათლის სხივები მიაქციოთ ფოკუსში. ეს სრულად ვერ მოაგვარებს მხედველობის პრობლემას, თუმცა სათვალის არ ქონის შემთხვევაში შეიძლება, კარგი ალტერნატივა იყოს.



### თითების ტკაცუნს არანაირი სავალალო შედეგი არ მოჰყვება

ერთ-ერთი მეცნიერი 60 წლის განმავლობაში იტკაცუნებდა სახსრებს მხოლოდ ერთ ხელზე, ხოლო მეორეზე _ არა. თავისი ექსპერიმენტის დასასრულს კი ამ ორ ხელს შორის ართრიტის განვითარების დონე ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა.

### ერთ მზიურ ამოფრქვევას შეუძლია 100 მეგატონიან ატომური ბომბის ექვივალენტური ენერგია გამოყოს

და ასეთი აფეთქებები იმაზე ხშირად ხდება, ვიდრე წარმოგვიდგენია.

### კატები მიწაზე უსაფრთხოდ ფიზიკის გამო ეშვებიან

კატები თავიანთი სხეულის ორ ნახევარს დამოუკიდებლად იყენებენ იმისთვის, რომ სწრაფად შეძლონ ჰაერში ამოტრიალება (სახლში ნუ გაიმეორებთ!)



### თუ ბურთს გადაგდებასთან ერთად დაატრიალებთ კიდეც, გაფრინდება

როდესაც მბრუნავი ობიექტის წინ ჰაერი იმავე მიმართულებით მოძრაობს, რა მიმართულებითაც ობიექტი ბრუნავს, ხდება ობიექტის გარშემო არსებული ჰაერის ნაკადების განცალკავება, ეს კი საბოლოოდ იწვევს იმას რომ ბურთი გარკვეული მიმართულებით უხვევს. ამ მოვლენას მაგნუსის ეფექტი ეწოდება და ის ხშირად შეიმჩნევა ფეხბურთის ან კალათბურთის თამაშისას.

**Science Alert**




ქსოვას თავი დავანებე,
არც ტურისტებს ველი,
გაბურძგნული ვიყავი და
გავიპარსე წვერი.

**მამუკა ვაშაკიძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, მრავალი წელი შეგმატებოდეთ. იხარეთ და იდღეგრძელეთ თქვენს ოჯახთან ერთად.

**"სამტრედიის მაცნე"**

**მამუკა ვაშაკიძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ ენთუზიაზმით სავსე ხელმძღვანელს, კარგ ადამიანს. წარმატებები დაგბედებოდეთ თქვენს საქმიანობაში. კეთილდღეობა ყოფილიყოს თქვენი და თქვენი ოჯახის თანმდევი.

**დასავლეთის სალიანდაგო სამმართველო**

**ბატონ ომარ მეზურკეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის შემწე და მფარველი.

**საზოგადოება "სამტრედიელი"**

**ანანო თავართქილაძეს!**

თვალხატულა ანანოს, კუდრაჭა გოგოს ვულოცავთ დაბადების დღეს. ბეჯითი სწავლით გაეხარებინოს ახლობლები. ერის ღირსეულ ქალად აღზრდილიყოს, ქვეყნის, მშობლიური სკოლისა და მშობლების სასახელოდ. მოკეთე და მეგობარი არ მოკლებოდეს!

**მე-3 საჯარო სკოლის პირველკლასელები და კლასის ხელმძღვანელი მარეხ თევზაძე**



**ია კოვალევიშვილს!**

ჩვენო მშვენიერო, კეთილშობილებით სავსე ქალბატონო, გვინდა, მუდამ ბედნიერს, მხიარულს, სიცოცხლის ჟინით ანთებულს გხედავდეთ, უშრეტი ენერგიითა და უსაზღვრო ერთგულებით გამორჩეულო, გვიყვარხართ და გვეამაყებით. ჩვენო საუკეთესო დირექტორო და მეგობარო კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს!

**შპს "არგოს" თანამშრომლები**

**ქალბატონ ია კოვალევიშვილს!**

დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენი გაზეთის მეგობარს, მრავალი სიკეთით სავსე წელი შეგმატებოდეთ!

**"სამტრედიის მაცნე"**



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა